წელიწადი მერვე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76
მდივნის 10—68
ღამის მორიგის 18—30

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 6 დეკემბერი, 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 282 (2325)

დღიური

- ფაშისტური ტერორი ბერლინში.
- უთანხმოება შტრეზემანსა და რეიხსბანკის თავმჯდომარე შახტს შორის.
- რადიჩის ცოლს პასუხისგებაში აძლევენ.
- დიდი დემონსტრაცია საიმონის კომისიის წინააღმდეგ.
- ბოლდუინის პასუხი ბრიტენს— ბრიანი ავსტრიის გერმანიასთან შეერთების შესახებ.
- საპრეზიდენტო არჩევნები ავსტრიაში.

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა დეკემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ბიუჯეტი

საკავშირო ცაკის მორიგი სესია ამჟამად იხილავს საბჭოთა კავშირის 1928—29 წლის მთლიანი ბიუჯეტის პროექტს. ეს პროექტი ნათლად გამოხატავს ჩვენს სამეურნეო მდგომარეობას ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით იმ გეზს, რომელიც ჩვენ აღებული გვაქვს სოციალისტური მშენებლობის განსავითარებლად.

1928—29 წლის ბიუჯეტი გამოანგარიშებულია 7,694,8 მილიონ მანეთის რაოდენობით, რაც შარშანდელ ჯამს 20 პროცენტით აღემატება. ბიუჯეტის ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდის ნიადაგზე. მართლაც, 1927—28 წელში მსხვილი სახელმწიფოებრივი მრეწველობის პროდუქცია წინანდელთან შედარებით გაიზარდა 23 პროცენტით. მატებამ აქ საგრძნობლად გადააჭარბა საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების ვარაუდს (15,8 პროც.). 1928—29 წლისათვის ამ პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია 20 პროცენტით. ეს პროცენტები მეტად მაღალია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აღდგენითი პერიოდის შესაძლებლობანი სავსებით გამოყენებულია და ჩვენ უკანასკნელი ორი წელიწადი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში ვიმყოფებით. ზრდის ასეთ ტემპზე ლაპარაკიც არ შეიძლება კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამაში მკაფიოდ აშკარავდება გეგმიანი სოციალისტური მშენებლობის ხასიათი.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მიუხედავათ დიდი მიღწევებისა, რომლებიც გვაქვს სასოფლო მეურნეობის დარგში, მისი განვითარების ტემპი შედარებით მაინც ნელია. ეს აიხსნება იმ დისპროპორციით სასოფლო-მეურნეობასა და მრეწველობას შორის, რომელიც წარსულიდან მემკვიდრეობით გადმოგვეცა. მარცვეულ კულტურების და მესაქონლეობის ზრდა არ არის დამაკმაყოფილებელი. ამ გარემოებამ სერიოზული დაბრკოლებები შეგვიქმნა მოსახლეობის სურსათით მომარაგების და მრეწველობისათვის ნედლეულობის მიწოდების დარგში. მიუხედავად ამისა მრეწველობის და სხვა სახელმწიფოებრივ წამოწყებათა შემოსავლის ზრდის და მოსახლეობის ნივთიერ მდგომარეობის საერთო გაუმჯობესების ნიადაგზე, მტკიცე კლასობრივი ფინანსიური პოლიტიკის გატარების გზით, გასული წლის ბიუჯეტი გადაჭარბებით იქნა შესრულებული (4 პროცენტით).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1928—29 წლისათვის ბიუჯეტი გადიდებულია 20 პროცენტით და მისი საერთო ჯამი დაახლოებით შეადგენს 7.700 მანეთს. რას მოხმარდება ეს თანხა?

ჩვენ მტკიცე კურსი გვაქვს აღებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე და, თავის თავად ცხადია, შესაძლებლობის ფარგლებში ამ მიზნით მაქსიმალური საშუალებები იქნება გამოყენებული. სახბიუჯეტით მრეწველობას მიეცემა 939,2 მილიონი მანეთი,—შარშანდელთან შედარებით 48,6 პროცენტით მეტი. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით მრეწველობის შიგნით დაგროვებულია 1,75 მილიარდი მანეთი. გასაგებია, რომ ყველაზე უფრო დიდი თანხები მოხმარდება კაპიტალურ მშენებლობას მძიმე ინდუსტრიაში—ლითონის, ქვანახშირის და ქიმიურ მრეწველობის განვითარებას, აგრეთვე საამშენებლო მასალების მრეწველობას, ვინაიდან მძიმე ინდუსტრიის განვითარება სოციალიზმის გამარჯვების მთავარი პირობაა. ამავე დროს საგრძნობი საშუალებები ეთმობა მსუბუქ მრეწველობას, რომ აცილებულ იქნას ფართე მოხმარების საგნების დღეს არსებული დეფიციტი. აგრეთვე დიდი ყურადღება ექცევა სარკინიგზო მშენებლობას (გზათა კომისარიატს ეძლევა 2.124.3 მილიონი მან., რომლიდან მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება ახალ გზების გაყვანას) და ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეს (გადადებულია 184 მილიონი მან.—შარშანდელთან შედარებით 35,6 პროცენტით მეტი).

კერძოდ უნდა აღინიშნოს ხარჯები სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად. მაგარი გეზია აღებული მრეწველობისათვის ფართო სასურსათო და ნედლეული ბაზის შესაქმნელად და კოლექტიურ მიწადმოქმედების (კოლექტივები, საბჭოთა მეურნეობები) გასაშლელად. ეს გამოხატულებას პოულობს საშუალებათა გადიდებაში სასოფლო მეურნეობისათვის: 1928—29 წ. ეს საშუალებები შეადგენენ ერთ მილიარდ მანეთს—შარშან გაღებულ 750 მილიონ მანეთის მაგივრად; მარტო ბიუჯეტით სოფლის მეურნეობაში დაბანდებულ იქნება 317 მილიონი მან.

აგრეთვე მომატებულია ხარჯები სახალხო განათლებაზე (355 მილ. მან. წინანდელი 270 მილ. მაგივრად) და ჯანმრთელობის საჭიროებებზე (610 მილ. მან. 513 მილ. მანეთის წინააღმდეგ).

რას გვეუბნებიან ეს ციფრები? იმას, რომ სახელმწიფო საშუალებები ხმარდებიან სახალხო მეურნეობის განვითარების, მის გარდაქმნის საქმეს და მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ამავე დროს ქვეყნის თავდაცვაზე შედარებით მცირე თანხები იხარჯება, მაშინ როცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტები ომისათვის ნიადაგს ამზადებენ და როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში სამხედრო ხარჯები 40—60 პროცენტს შეადგენენ. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკას.

უეჭველია, რომ ამოდენა საშუალებათა გაღება მშვიდობიანობისათვის ძნელი საქმეა და მოითხოვს მთელი ჩვენი ენერგიის დაჭიმვას და მტკიცე გეგმიან მუშაობას. შრომის ნაყოფიერების ამაღლება, მრეწველობის თვითღირებულების დაკლება, ყველაფერში მომჭირნეობის დაცვა და საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცება — აი რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ ბიუჯეტის ვარაუდი გამართლდეს და საჭირო ხარჯები ვიშოვოთ დასახულ ამოცანების განსახორციელებლად.

მშვიდობიანობისათვის

საბჭოთა კავშირის ცაკის მე-4 სესიის პირველი სიტყვა იყო: მშვიდობიანობა.

„განვლილი ხნის მანძილზე,—განაცხადა სესიის გახსნის დროს ამხ. ჩერვიაკოვმა,—ჩვენ, სამწუხაროდ, საშუალება გვაქვს აღვნიშნოთ ზოგიერთი ფაქტები და მოვლენები, რომლებიც ადასტურებენ, რომ საკავშირო საბჭოთა მთავრობამ შეუმცდარად და დროიანად აიმაღლა ხმა მშვიდობიანობის დასაცავად. და იმ შედეგების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს კაპიტალისტური სახელმწიფოების მზადებამ ახალი იმპერიალისტური ომისათვის და რომლებსაც მოჰყვება მახვილის მომართვა, პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ ფაქტების მიუხედავად, საბჭოთა მთავრობა არ უღალატებს მშვიდობიანობის პოლიტიკას და კიდევ უფრო მეტის დაჟინებით მიიღებს ზომებს, რომ არ დაიწყოს ახალი მსოფლიო ომი".

სესიაზე მოყვანილ იქნა უაღრესად დამაჯერებელი ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან ჩვენი ხარჯები შეიარაღებაზე და ბურჟუაზიული ქვეყნების ხარჯები (ჩვენში ქვეყნის თავდაცვისათვის თვითეულ სულზე იხარჯება წლიურად 7 მანეთი, საფრანგეთში—60 მანეთი, ინგლისში—100 მანეთი).

ეს გამოსვლები გამოხატავენ და ადასტურებენ საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობიანობის საქმე. ჯერ კიდევ 1922 წელს გენუის კონფერენციაზე, იმ ექსპლოატატორული კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებთან პირველი შეხვედრის დროს, რომლებიც იძულებულნი იყვნენ შეეწყვიტათ სისხლის მღვრელი დანაშაულებრივი ინტერვენცია, საბჭოთა დიპლომატებმა წინადადება მისცეს თავიანთ კონტრაგენტებს, რომ შესდგომოდნენ განიარაღებას. მაგრამ ჩიჩერინის წინადადებამ ცოფი მოგვარა ბარტუს, რომელიც მოქმედებდა საფრანგეთის ეხლანდელი პრემიერის, „მშვიდობიანობის დაუღალავი მოციქულის" მოსიო პუანკარეს ინსტრუქციებით. ამავე დროს საბჭოთა მთავრობის თაოსნობით მოსკოვში მოწვეულ იქნა განიარაღების კონფერენცია განაპირა სახელმწიფოების მონაწილეობით, მაგრამ საბჭოთა დიპლომატიის ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა იმ საბოტაჟის გამო, რომელსაც მეორე მხარე ეწეოდა ლონდონელ და პარიზელ „მშვიდობის მოყვარეთა" შთაგონებით.

ამას მოჰყვა ლოზანის კონფერენცია. აქ ჩიჩერინმა ყოველი ძალ-ღონე იხმარა, რომ შეენელებინა ომის საფრთხე შავი ზღვისა და სრუტეების რაიონში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის. მაგრამ ამაოდ. კერზონმა თავისი გაიტანა. სრუტეები გახსნილია იმ სახელმწიფოების სამხედრო გემებისათვის, რომლებიც მთელი თავიანთი ძალ-ღონით უკვე მაშინვე ხელილობდნენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესაძლებლობათა გაფართოვებას.

კერზონის სამარცხვინო ისტორიულმა ულტიმატუმმა (1923 წლის მაისი) და „ზინოვიევის" დანაშაულებრივმა, ყალბმა წერილმა (1924 წლის ოქტომბერი) ერთხელ კიდევ დაადასტურეს, თუ ვინ ქმნის ომის პროვოკაციას და ვინ იცავს მშვიდობიანობას.

შემდეგ უნდა აღინიშნოს ლოკარნოს ხელშეკრულება (1925 წლის ოქტომბერი)—ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის ცდა, რომელსაც არაჩვეულებრივად დაბეჯითებით და თვალთმაქცური დემაგოგიით სახავდნენ მშვიდობიანობის დიდ აქტად, მაგრამ რომელსაც მოჰყვა ურთიერთობის პროვოკაციული შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან (1927 წლის მაისი).

ჩვენი მტრების ამ გამომწვევი და მტრული ნაბიჯების პასუხად საბჭოთა მთავრობა ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას და, რასაკვირველია, ამავე დროს ერთს წუთსაც არ ივიწყებს პირველი პროლეტარული სახელმწიფოს დაცვის საჭიროებას გაუმაძღარი მტრების თავდასხმისაგან.

1927 წლიდან საბჭოთა მთავრობა გამოდის დაუყოვნებლივი, საყოველთაო და ნამდვილი განიარაღების გარკვეულ და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროექტით. ამ პროექტს მშვიდობიანობის ყალბი მოციქულები ბოროტი დუმილით უპასუხებენ. ხოლო როდესაც ბურჟუაზიული ქვეყნების ფართო საზოგადოებრივი წრეები გაცხოველებულ ინტერესს იჩენენ საბჭოთა გეგმისადმი, მაშინ ბატონნი ჩემბერლენები, მაკდონალდები, ბრიანები, ბონკურები, კელოგები სწრაფად იცვლიან ტაქტიკას. ისინი საზოგადოებრივ წრეებს ისე აჩვენებენ თავს, ვითომ პროექტს „არსებითად" არკვევენ და „ამტკიცებენ" მის „განუხორციელებლობას". ამავე დროს ავრცელებენ უმსგავსს, საზიზღარი ცილისწამების შხამით მოწამლულ ვერსიას იმის შესახებ, ვითომ საბჭოთა მთავრობამ განზრახ წარადგინა „აშკარად განუხორციელებელი" წინადადება იმ აზრით, რომ მავნე ბოლშევიკური პროპაგანდა გაეწია.

რამდენიმე დღის წინათ პუანკარემ კომუნისტ დეპუტატების საპასუხოდ წარმოთქმულ რეპლიკაში განაცხადა: „მე საჯაროდ ვკისრულობ ვალდებულებას, რომ იმ დღეს, რა დღესაც დამტკიცდება თქვენი საბჭოთა მეგობრების თანხმობა საყოველთაო განიარაღებაზე, დაუყოვნებლივ მივბაძავ ამ მაგალითს".

მაგრამ ასეთი „იუმორის" სიმახვილე როგორც კი სინამდვილეს გაეკარება, მაშინვე ჩლუნგდება. ეს შენიშვნა ტლანქ, უხეშ სიყალბედ გაისმის, როცა გავიხსენებთ იმ ფაქტს, თუ როგორ შეხვდნენ პუანკარე და კეშენდენი საბჭოთა პროექტს ნამდვილ და საყოველთაო განიარაღების შესახებ. თუ ეს პროექტი ბოლშევიკების ცბიერი ინტრიგაა, რატომ არ უნდა ამხილონ იგი მთელი მსოფლიოს წინაშე იმით, რომ მიიღონ ეს პროექტი? რატომ იშორებდა თავიდან ბატონი პუანკარეს გარსონი—„სოციალისტი" პოლ ბონკური პროექტის შერბილებულ ფორმულასაც კი (თანდათანი განიარაღება)? რატომ უწევენ ყოველგვარ საბოტაჟს საფრანგეთისა და ინგლისის კაბინეტები საბჭოთა მთავრობის არა ერთსა და ორს წინადადებას განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მოწვევის შესახებ?

ლაპარაკი არ უნდა, პუანკარე—გამოცდილი ვექილია და ყოველგვარი დიპლომატიური ხრიკების ოსტატი. მაგრამ მისი „მჭერმეტყველება" და მხურვალე ტაში მილიონერების, მათი იურისკონსულტების და, საერთოდ, ბნელეთის მეუფის მოციქულებისა, რომლებიც საფრანგეთის პარლამენტში სხედან, ვერ გაამართლებს ფაქტების ენის მშვიდსა და წყნარ მოთხრობას.

ფაქტები კი შემდეგს მეტყველებენ:

პუანკარემ და მისმა საგანგებო დავალების „სოციალისტმა" მოხელეებმა გაიყვანეს კანონი მთელი მოსახლეობის მილიტარიზაციის შესახებ. პუანკარემ ის არის ეხლა გაიყვანა პალატაში გრანდიოზული სამხედრო ბიუჯეტი 1929 წლისთვის. საფრანგეთის მთავრობამ ინგლისთან დასდო სამხედრო საიდუმლო ხელშეკრულება (რომლის დასკვნითი ნაწილი უკვე გამოაშკარავებულია) იმ მიზნით, რომ მომავალში არ მოხდეს შეიარაღების არავითარი შემცირება. ერთსა და იმავე დროს საბჭოთა კავშირის, გერმანიის და ფრიად საშიში იმპერიალისტური მეტოქის ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართული ეს სამხედრო კავშირი ომის საფრთხის გამწვავების ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორია, რომელმაც უაღრესად გაართულა საერთაშორისო პოლიტიკა.

ინგლისის გენერალური შტაბის თანხმობით, საფრანგეთის სამხედრო კომივოიაჟორი გენერალი ლერონი მოგზაურობს პოლონეთსა, რუმინეთსა, სამხრეთ-სლავიასა და ჩეხო-სლოვაკიაში, სადაც გულმოდგინეთ აკოწიწებს და „აუმჯობესებს" ანტისაბჭოთა სამხედრო კონვენციებს.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობანი—განაგრძობენ მეტყველებას ფაქტები—სესხს აძლევენ რუმინეთს, რათა უფრო მაგრად ჩაითრიონ იგი ანტისაბჭოთა ბლოკში და დაავალონ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ინტერვენციისათვის ბლომად მიაწოდოს მათ ადამიანის საზარბაზნე მასალა.

ინგლისი და საფრანგეთი ყოველნაირად, ხან მუქარითა და ხან დაპირებით ცდილობენ, რომ ჩაიბან გერმანია ანტისაბჭოთა პოლიტიკის რკალში. ამ დღეებში საფრანგეთის ოფიციოზმა „ტან"-მა კადნიერი პროვოკაციული წერილი მოათავსა და მოუწოდა გერმანიის მთავრობას, რომ შესწყვიტოს სავაჭრო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან.

საფრანგეთის და ინგლისის ბანკებმა აიძულეს თავიანთი გერმანელი კოლეგები, რათა ისინი შესულიყვნენ მეფის ფასიანი ქაღალდების პატრონთა ეგრედწოდებულ საერთაშორისო კომიტეტში, რომლის მიზანსაც შეადგენს საბჭოთა კავშირის გარემოცვა ეკონომიური ბლოკადით. იმავე მიზანს ისახავდა საფრანგეთის ბანკი—ჩაიგდო ხელში საბჭოთა ოქრო ნიუ-იორკში.

ანტისაბჭოთა მსოფლიო ფრონტის მეორე მხარეს—შორეულ აღმოსავლეთში ამას წინად დაიდო ინგლის-იაპონიის საიდუმლო შეთანხმება. (ამ შეთანხმების ძაფებიც პარიზისაკენ მიდის), რომელიც მიმართულია, ერთის მხრით, საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრით—ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების წინააღმდეგ.

რა საცოდავად და უბადრუკად გეჩვენება ამ ფაქტების შემდეგ „პაციფისტური" მანჭვა-გრეხა ძველი გაიძვერა ვექილის, „კომიტე დე ფორჟ"-ის მონა-მორჩილის პუანკარესი,—იმ მძიმე ინდუსტრიის კომიტეტის მონა-მორჩილის, რომელიც მთელი საფრანგეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ბედს განაგებს,—ან ასეთივე „პაციფისტური" მანჭვა-გრეხა ბოლდუინისა „ბოლდუინ ლიმიტედ"-ის სააქციო საზოგადოებიდან! რა საზიზღარნი არიან ჯავშნოსანი ლაქია-სოციალისტები, რომლებიც ავრცელებენ საძაგელ ზღაპრებს „წითელ იმპერიალიზმზე" და ამ ზღაპრების გამო ატეხილ განგაშში ხელს უწყობენ ყაჩაღ-იმპერიალისტების შეიარაღების საქმეს!

კომინტერნის სექციებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი კონტრკამპანია სოციალ-დემოკრატების ამ გააფთრებული კამპანიის წინააღმდეგ. კომუნისტებმა და ყველა ქვეყნის სინდისიერმა რევოლიუციონერმა მუშებმა მტკიცედ უნდა დაიხსომონ კომინტერნის მე-6 კონგრესის სიტყვები ომის საფრთხის შესახებ:

„იმპერიალისტების გამარჯვება მათ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნიშნავს არა მარტო საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დამარცხებას, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის უაღრესად სასტიკ დამარცხებას მთელი მისი არსებობის განმავლობაში. მუშათა მოძრაობა უკან დაიხევს რამდენიმე ათეული წლით... მთელ ევროპაში გამეფდება გააფთრებული რეაქცია... მაშასადამე, საბჭოთა კავშირის დაცვა უმთავრესი ყურადღების საგანი უნდა იყოს".

მეორეს მხრით, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს უნდა ახსოვდეს, რომ მთელი მისი მუშაობა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისა, რევოლიუციონურ-კულტურული დონის გადიდებისათვის, ორგანიული ნაწილია იმ დიდი მთლიანი საერთაშორისო რევოლიუციონური ამოცანებისა, რომელთა განხორციელებაც შეუძლებელია ისე, თუ საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების პროლეტარიატმა არ გაიღეს საერთო მსხვერპლი.

„პრავდა", 5 დეკემბერი.

ჩემბერლენი რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ

გერმანიის პრესის კომენტარიები ჩემბერლენის განცხადების გამო

კამათი საფრანგეთის კოლონიების სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო

„საფრანგეთი არც ერთ თავის კოლონიაზე უარს არ იტყვის"

ჩემბერლენი რეინის ოლქის ვადაზე ადრე დაცლის შესახებ

ლონდონი, 4 დეკემბერი. ჩემბერლენმა თემთა პალატაში მიცემული შეკითხვების საპასუხოდ განაცხადა, რომ იურიდიული ექსპერტების დასკვნის თანახმად, იურიდიულად არ შეიძლება გამართლებულ იქნას ის მტკიცება, რომ გერმანიამ შეასრულა ყველა ვალდებულება, რომელიც მას ვერსალის ზავით დაეკისრა, და უფლება აქვს მოითხოვოს რეინის ოლქის დაცლა იმ ვადაზე ადრე, რომელიც გათვალისწინებულია ვერსალის ხელშეკრულებითო.

„მთავარი ვალდებულება,—განაცხადა ჩემბერლენმა,—**რომელიც გერმანიას ჯერ კიდევ არ შეუსრულებია, არის რეპარაციები.** ინგლისის მთავრობის აზრით, ვერსალის ზავის მე-431 მუხლით გათვალისწინებული დათმობა შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანია საბოლოოდ შეასრულებს თავის სარეპარაციო ვალდებულებებს. მაგრამ ინგლისის მთავრობა მაინც მიესალმება რეინის ოლქიდან საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის ჯარების ვადამდე გაყვანას, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების თანახმად, მოკავშირე მთავრობებს აქვთ კანონიერი უფლება განაგრძონ ოკუპაცია (ვერსალის ხელშეკრულების მე-431 მუხლში, რომელსაც ჩემბერლენი იხსენიებს ნათქვამია: „თუ თხუთმეტი წლის განმავლობაში გერმანია დააკმაყოფილებს ყველა იმ ვალდებულებას, რომელსაც მას ეს ხელშეკრულება აკისრებს, საოკუპაციო ჯარი დაუყოვნებლივ გამოყვანილი იქნება).

მუშათა პარტიის წევრმა **კენვორტიმ** მოაგონა ჩემბერლენს, რომ ფინანსთა მინისტრმა ჩერჩილმა თემთა პალატაში განაცხადა რომ რეპარაციები და ევაკუაცია სულ სხვადასხვა საკითხებიაო.

ჩემბერლენმა უპასუხა: ჩემის აზრით არ არის წინააღმდეგობა ჩერჩილისა და ჩემი თვალსაზრისს შორის, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩემს მიერ ეხლა გამოთქმულ აზრსო. ჩემბერლენის აზრით, ჩერჩილი სხვა თვალსაზრისით უდგებოდა საკითხს.

ლიბერალური „დეილი ნიუს"-ი სწერს:

„ფრანგები ყოველთვის ისე განმარტავდნენ მე-431 მუხლს, რომ მან ყოველივე მნიშვნელობა დაჰკარგა. მაგრამ თუ ჩვენ მათ მაგალითს მივბაძეთ, თავს შევირცხვენთ არა მარტო გერმანიის, არამედ მთელი მსოფლიოს თვალში, საფრანგეთის გარდა". (ადს).

გერმანიის პრესის კომენტარიები

ბერლინი, 4 დეკემბერი. გერმანიის პრესა კომენტარიებს უკეთებს ჩემბერლენის განცხადებას ერთა ლიგაში, რომ **გერმანიას არა აქვს იურიდიული უფლება მოითხოვოს რეინის ოლქის ევაკუაცია, მაგრამ ინგლისის მთავრობა მაინც მიესალმებოდა რეინის დაჩქარებით ევაკუაციასო.** გერმანიის პრესის აზრით, ეს განცხადება ეთანხმება საფრანგეთის თეზისს, რომლის თანახმადაც ოკუპაციის ვადის შემცირება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია წავა მნიშვნელოვან დათმობებზე. გერმანიის გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გერმანიას აქვს არა მარტო მორალური, არამედ ფორმალური უფლება მოითხოვოს რეინის ოლქის დაუყოვნებლივი ევაკუაცია

კამათი კოლონიების სამინისტროს ბიუჯეტ. გარშემო

პარიზი, 4 დეკემბერი. დეპუტატთა პალატაში კოლონიების სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს სოციალისტმა ნუელმა განაცხადა, რომ სოციალისტური პარტია მხარს უჭერს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპს და ამავე დროს უარჰყოფს კოლონიებიდან საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა და ჯარის გაყვანის „გამარტივებულ" ლოზუნგს, რადგან „უდამიანობა იქნება ზოგიერთი ველური ხალხი, განსაკუთრებით ცენტრალურ აფრიკაში, ბედის ანაბარა დატოვოთ"-ო. შემდეგ ნუელმა განაცხადა, რომ საფრანგეთის კოლონიების მოსახლეობის სწორუფლებიანი წარმომადგენლობა დეპუტატთა პალატაში „განუხორციელებელია", რადგან ამ შემთხვევაში ეს მოსახლეობა პალატაში ადგილების რიცხვის ნახევარს დაიჭერდა და მონაწილეობას მიიღებდა ისეთი საკითხების განხილვაში, რომელნიც „მხოლოდ საფრანგეთს აინტერესებს"-ო. ამის გამო, ნუელის აზრით, კოლონიებისთვის ადგილობრივი ავტონომიის მიცემა შესაძლებელია მხოლოდ თანდათან.

ნუელის ამ სიტყვაზე კომუნისტმა ბერტონმა ადგილიდან უპასუხა: „თქვენ ელზასსაც არ აძლევთ ავტონომიასო".

ვრცელი სიტყვით გამოვიდა კომუნისტი დორიო, რომელმაც მრავალი ციფრობრივი ცნობების მიხედვით დაამტკიცა ვაჭარ - მრეწველთა მოგების ზრდა კოლონიებში, რასაც შედეგად მოსდევს მოსახლეობის ექსპლოატაციის გაძლიერება და ამ მოსახლეობის გადატაკება და გადაშენება.

„სამხედრო ოპერაციები მაროკოში და ჯარის გადიდება ინდო - ჩინეთში, — სთქვა დორიომ, — მოწმობს, რომ საფრანგეთის იმპერიალიზმს კოლონიების ხელში დაჭერა მხოლოდ ძალით შეუძლია, ამავე დროს რევოლიუციონური მოძრაობა საფრანგეთის კოლონიებში ამჟამად იმ დონეზე უფრო მაღლა იწევს, რა დონესაც მან ჩინეთსა და ინდოეთში მიაღწია. უდიდესი ბრძოლა კოლონიალურ სახელმწიფოებსა და კოლონიალურ ქვეყნებს შორის თვალსაჩინოდ განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკის ბედიღბალს. კოლონიალური საკითხი მომავალი მსოფლიო ომის ერთი უშუალო მიზეზთაგანი იქნება. ნუელის სიტყვა ამტკიცებს, რომ სოციალისტები იმპერიალიზმის პოლიტიკის წარმომადგენლებად რჩებიან".

კამათში გამოსულმა კოლონიების მინისტრმა მაჟინომ განაცხადა, რომ „საფრანგეთი არც ერთ თავის კოლონიაზე უარს არ იტყვის". (ადს).

ბრიანი ავსტრიის გერმანიასთან შეერთების შესახებ

პარიზი, 4 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„დეპუტატთა პალატაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს რადიკალი ფრანსუა ალბერი თავის სიტყვაში შეეხო იმ საკითხებს, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ ავსტრია გერმანიას შეუერთდეს. საპასუხო სიტყვაში ბრიანმა გაიხსენა თავისი განცხადება ჟენევაში: **თუ ავსტრია გერმანიას შეუერთდა, ეს მშვიდობიანობისათვის საფრთხეს შექმნისო.**

რადიჩის ცოლს პასუხისგებაში აძლევენ

ვენა, 4 დეკემბერი. ზაგრების გაზეთის „ნაროდნი ვალ"-ის ცნობით, რადიჩის ცოლს უარი უთხრეს უცხოეთის პასპორტის მიცემაზე იმ საბაბით, რომ მთავრობა მას პასუხისგებაში აძლევს ერთა ლიგისათვის და პარიზელ ექიმ ჰანრი ტორესისათვის გაგზავნილ წერილების გამო. ეს წერილები რადიჩის ცოლმა გაგზავნა სკუპშჩინაში მომხდარი თავდასხმის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. (ადს)

რეპარაციების გარშემო

უთანხმოება შტრეზემანსა და შახტს შორის

ბერლინი, 4 დეკემბერი. გერმანიის მემარჯვენე პრესის გადმოცემით, შტრეზემანსა და რეიხსბანკის თავმჯდომარეს შახტს შორის სერიოზული უთანხმოება მოხდა. უთანხმოება გამოიწვია იმ საკითხმა, თუ რა რაოდენობით შეუძლია გერმანიას ყოველწლიურად გაიღოს სარეპარაციო გადასახადი.

გაზეთების სიტყვით, შახტმა თითქოს განაცხადა, რომ **გერმანია ვერ შესძლებს ერთნახევარი მილიარდი მარკის გადახდასაც კი ყოველწლიურადო. ნაციონალისტების პრესა ამის გამო სასტიკად ილაშქრებს შტრეზემანის წინააღმდეგ. იგი სწერს, რომ შტრეზემანი პოლიტიკური მიზნით ცდილობს სარეპარაციო პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს ისეთი ფინანსიური ვალდებულების აღება, რომელსაც გერმანია ვერ გაუძლებსო.**

ვოლფის სააგენტო სწერს, რომ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობის თანახმად, სიმართლეს მოკლებულია ხმები შახტსა და გარეშე საქმეთა მინისტრს შორის უთანხმოების წარმოშობის შესახებო. (ადს)

ბოლდუინის პასუხი ბრიტენს

ლონდონი, 4 დეკემბერი. თემთა პალატაში გამოსვლისას ბოლდუინმა განაცხადა, რომ მან გაუგზავნა პასუხი შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ბრიტენს (რომელმაც ბოლდუინს მიმართა წინადადებით ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საზღვაო ძალების თანასწორობის საკითხის საერთოდ განხილვის შესახებ).

პასუხში ნათქვამია:

„მე ვიზიარებ თქვენს გულწრფელ სურვილს, რომ ჩვენ ქვეყნებს შორის სრული თანხმობა იყოს.

მაგრამ 18 ნოემბერს წარმოთქმულ სიტყვაში მე ვეხებოდი არა საკანონმდებლო ორგანოებს, არამედ აღმასრულებელ ხელისუფლებას და მწუხარებას გამოვთქვამდი იმის გამო, რომ შესაძლებელი არ არის მინისტრების პირადად შეხვედრა".

დასასრულ, ბოლდუინმა თავის პასუხში განაცხადა, რომ შემდეგმი აზრის გამოთქმა ბრიტენის წინადადების შესახებ დაარღვევს თავაზიანობას შეერთებული შტატების მთავრობის მიმართო.

მუშათა პარტიის წევრმა კენვორტიმ ბრიტენს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც არწმუნებს, რომ მის წინადადებას მხურვალედ მიესალმება ინგლისის პარლამენტის ბევრი დეპუტატი. (ადს).

ლანდტაგის არჩევნები ჩ ხო-სლოვაკიაში

პალა, 4 დეკემბერი. ჩეხო-სლოვაკიის სააგენტო იტყობინება ბოჰემიის, მორავიის, კარპატსკაია რუსის და სლოვაკიის ლანდტაგების არჩევნების შედეგებს.

ბოჰემიაში არჩევნების დროს ხმა მისცა 3.490.885 ამომრჩეველმა. ლანდტაგის 80 ადგილი განაწილდა ამგვარად: ჩეხო-სლოვაკიის ნაციონალისტებმა მიიღეს 12, რესპუბლიკანურმა პარტიამ—11, **კომპარტიამ 10 მანდატი (მიიღო 422.535 ხმა)**, სოციალ-დემოკრატებმა—10 მანდატი.

მორავიის ლანდტაგის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.637.095 ამომრჩეველმა. 40 მანდატიდან ჩეხო-სლოვაკიის სახალხო პარტიამ მიიღო 8 მანდატი, სოციალ-დემოკრატებმა—6, აგრარიებმა—5 და კომუნისტებმა—4. დანარჩენი მანდატები პატარა პარტიებს შორის განაწილდა.

კარპატსკაია რუსში მონაწილეობა მიიღო 281.514 ამომრჩეველმა. აგრარიებმა მიიღეს 55.853 ხმა, **კომპარტიამ, რომელმაც მეორე ადგილი დაიჭირა—48.981 ხმა**, სოციალ-დემოკრატებმა—10.080 ხმა.

არჩევნების შედეგები სლოვაკიაში ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული. (ადს).

ბრიანი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ

პარიზი, 4 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს დეპუტატთა პალატაში ბრიანმა წარმოსთქვა სიტყვა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ბრიანი მიესალმა შტრეზემანის განცხადებას რეიხსტაგში იმის შესახებ, რომ ლოკარნოს პოლიტიკა რჩება იმავე პოლიტიკურ ხაზად, რომელიც გერმანიამ უნდა დაიცვასო.

„საფრანგეთი,—სთქვა შემდეგ ბრიანმა,—ყოველთვის სისწორით იცავდა ლოკარნოს ხელშეკრულებას. საფრანგეთი სიამოვნებით დასთანხმდება აწარმოოს მოლაპარაკება გერმანიასთან რეინის ოლქის საკითხის და რეპარაციების შესახებ, მაგრამ საფრანგეთი თავისუფალი არაა, ის დაკავშირებულია სხვა სახელმწიფოებთან და შეთანხმებული უნდა იყოს მათთან. საფრანგეთს არ აქვს სეპარატიულად მოქმედების უფლება. საფრანგეთმა უნდა გაითვალისწინოს გერმანიის პოლიტიკის მერყეობანი წარსულში და მომავალში და ანგარიში უნდა გაუწიოს იმ მოსალოდნელ ცვლილებას, რომელმაც საფრანგეთი შეიძლება დასტოვოს თავისი ვალდებულებებით და საფრანგეთსა და გერმანიის შორის აღმართოს გადაულახავი ბარიერი.

თუ საფრანგეთი და გერმანია წარმატებით აწარმოებენ მუშაობას მშვიდობიანობის განსამტკიცებლად, ეს საუკეთესო გარანტია იქნება ომის წინააღმდეგ. ლოკარნოს და პარიზის (კელოგის) ხელშეკრულებები გვაძლევს უშიშროების გარანტიას, მაგრამ მოლაპარაკება ჯერ კიდევ ხანგრძლივი იქნება. საფრანგეთი წარმოადგენს ისეთ სახელმწიფოს, რომელიც სხვაზე ნაკლებს ხარჯავს შეიარაღებისათვის. მაგრამ იგი იძულებული შეიქნება გაცილებით მეტი თანხები დახარჯოს მაროკოში და სირიაში მომხდარი ამბების გამო. სამხედრო და საზღვაო სამინისტროს ბიუჯეტი მცირდება. საფრანგეთი სცდილობს გაამრავლოს არბიტრაჟის ხელშეკრულებათა რიცხვი. და განაგრძობს ამ პოლიტიკას".

კომბინატორები გაზ. „დიუ ფრანს"-იდან

პარიზი, 4 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

ხელისუფლების განკარგულებით, დააპატიმრეს ბირჟის გაზეთის „გაზეტ დიუ ფრანს"-ის ადმინისტრატორი ქალი ანო და მისი ყოფილი ქმარი ბლოკი. მათ ათასნაირი აფიორა ჩაიდინეს. გაზეთების აზრით, მათ მიერ აფიორით დატყუებული ფულის რაოდენობა რამდენიმე ასს მილიონ ფრანკს უდრის. გამომძიებელმა ბრძანება გასცა გაზეთის 400 პროვინციალური სააგენტოს დახურვის შესახებ.

პარიზი, 4 დეკემბერი. პრესის მთავარი ყურადღების საგანს წარმოადგენს ფინანსიური დაწესებულების გაკოტრება, რომლებსაც მეთაურობდა გაზეთ „დიუ ფრანს"-ის ადმინისტრატორი ქალი ანო. ეს წარმოებები ეწეოდნენ საეჭვო ოპერაციებს და უშვებდნენ ობლიგაციებს, რომელთა თანხა ბევრად აღემატებოდა წარმოების ძირითად კაპიტალს. განცხადება ახალი ობლიგაციების გამოშვების შესახებ აფიორის გამოაშკარავების საბაბად გადაიქცა. საქმე დიდი სკანდალის ხასიათს იღებს, ვინაიდან ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწეები, უმთავრესად რადიკალები, რომლებიც გაზეთში თანამშრომლობდნენ, ცნობილი საზოგადოების აქციონერები იყვნენ. რადიკალური პრესა სცდილობს მიაფუჩეჩოს საქმე.

დამახასიათებელია „პოპიულერ"-ის ორმაგი ხაზი. ბლიუმი „პოპიულერ"-ში თუმცა აცხადებს, რომ აუცილებელია მთელი აფიორის გამოაშკარავება ბოლომდე, მაგრამ ამავე დროს უერთდება რადიკალური პრესის აზრს, რომ პრესტიჟი და კრედიტის უნარიანობა იმ ფირმებისა, რომელთა მეთაური იყო ანო, დაცემულ იქნა კოტის პრესის კამპანიის და სასამართლოს გამოძიების ზეგავლენით.

პრესა გაკვრით აღნიშნავს, რომ ამგვარ აფიორაში წილი მიუძღვით დეპუტატებს და მთავრობის წევრებს, კერძოდ მაჟინოს და ფრანსუა გონოესო.

„ლიუმანიტე" ხაზს უსვამს, რომ აფიორაში მონაწილეობით ძალიან გაითქვეს სახელი მემარჯვენე ბურჟუაზიულმა მოღვაწეებმა და აღნიშნავს, რომ გაზეთმა „დიუ ფრანს"-მა, რომელიც გამოდიოდა დევიზით „საფრანგეთი—მორალის ქვეყანაა"-ო, ოქტომბერში გამოაქვეყნა უხეში ანტიკომუნისტური ყალბი წერილი. „ლიუმანიტე" აცხადებს, რომ ბანკებს შორის წარმოშობილმა კინკლაობამ გამოააშკარავა ანტიკომუნისტური გამოსვლების სულის ჩამდგმელთა მორალური დონე (ადს).

ლერონი „კერძოდ" მოგზაურობს

ვენა, 4 დეკემბერი. როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, საფრანგეთის მისია სამხრეთ-სლავიაში, იმ ცნობების გამო, რომლებიც პრესაში დაიბეჭდა გენერალი ლერონის მოგზაურობის შესახებ, აცხადებს, რომ „საფრანგეთის მთავრობას ლერონისთვის არავითარი ოფიციალური დავალება არ მიუცია, ლერონი სამსახურში არ ითვლება და კერძოდ მოგზაურობსო" (ადს).

სხვადასხვა

სოც.-დემოკრატმა რეიმ შეადგინა ესტონეთის ახალი მთავრობა, რომელშიაც სოციალ-დემოკრატებმა სამი პორტფელი მიიღეს.

ჰავრში (საფრანგეთი) გაფიცვა გამოაცხადეს გემების შემკეთებელ სახელოსნოების მუშებმა.

საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობა

კამათი კაშენსა და ბრიანს შორის

დეპუტატთა პალატაში

გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის ირგვლივ გამართულ კამათში კომუნისტმა კაშენმა სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. კაშენი აცხადებს, რომ მიუხედავად მრავალი წლის განმავლობაში წარმოებული ცილისწამებისა, საბჭოთა კავშირი სწრაფად და წარმატებით ვითარდება. საბჭოთა კავშირისათვის რომ მიეცათ საშუალება მშვიდობიანად ეცხოვრა ათი წლის განმავლობაში, იგი გააკვირვებდა მთელ მსოფლიოს. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის საქმიანი წრეების, ლიტერატორების და სხვ. წარმომადგენელნი, რომლებიც საბჭოთა კავშირში იყვნენ, აშკარად აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირი იზრდება, წინ მიდის ეკონომიურად და კულტურულად; საფრანგეთში მაინც კვლავ წინასწარ მეტყველობენ საბჭოთა ეკონომიკის და საბჭოთა ხელისუფლების „უახლოეს ხანში დაღუპვას".

„დიდია სოციალიზმის მშენებლობის და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის სიძნელენი,—განაგრძობს კაშენი,—მაგრამ ამ სიძნელეებს არ მალავს საბჭოთა ხელისუფლება. რომელიც პირიქით, აშკარად ლაპარაკობს მათ შესახებ. საბჭოთა კავშირი, რომელსაც ვითომც... (გამოტოვებულია) შეუძლია შეადგინოს ბიუჯეტი, რომელიც წელს ორჯერ მეტად აღემატება საფრანგეთის ბიუჯეტს (მემარჯვენე დეპუტატი მენილი ადგილიდან: „მაგრამ ისინი არ იხდიან ვალებს!"). კაშენი ამ რეპლიკაზე უპასუხებს, რომ პალატამ სწორედ ეხლა, რამდენიმე წუთის წინედ ტაში დაუკრა მემარჯვენე დეპუტატს სულიეს, რომელიც აცხადებდა, რომ საფრანგეთმა არ უნდა გადაუხადოს ვალი ამერიკას და რომელიც აღნიშნავდა, რომ საფრანგეთის ხალხისათვის აუტანელია ფულის გადახდა ამერიკის ვალის დასაფარავად. შემდეგ კაშენი აცხადებს, რომ თუ ბურჟუაზიის მძულვარება საბჭოთა კავშირის მიმართ გასაგებია, სამაგიეროდ სოციალისტები თითქოს არ უნდა სწამებდნენ ცილს საბჭოთა კავშირს და ქედს უნდა იხრიდნენ მისი მიღწევების წინაშე სოციალისტური მშენებლობის დარგში.

სოციალისტების სკამებზე ატყდა ხმაურობა. კაშენი მიუთითებს კერძოდ საბჭოთა ნავთის მრეწველობის წარმატებებზე, რომლებიც აღნიშნა გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის საფინანსო კომისიის მომხსენებელმა რადიკალმა პაგანმა. კაშენი ამბობს, რომ საბჭოთა ნავთის მრეწველობის განვითარება იყო საბაბი იმისა, რომ ინგლისის ერთ-ერთმა ნავთის ამხანაგობამ დაიწყო ანტისაბჭოთა კამპანია, რომელმაც მიაღწია საბჭოთა ელჩის განდევნას საფრანგეთის მთავრობის მიერ. კაშენი, აღნიშნავს რა საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანობის პოლიტიკას, რომელიც ემყარება საბჭოთა კავშირ-ს მშრომელი მასების მისწრაფებას მშვიდობიანობისაკენ, უარჰყოფს ბრიანის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს წითელი არმია ყველაზე დიდი არმიაა მსოფლიოში.

საბჭოთა მთავრობამ—აცხადებს კაშენი—თავისი წინადადებით განიარაღების შესახებ, რომელიც გამოაქვეყნა ლიტვინოვმა ჟენევაში და რომელიც ირონიით იქნა მიღებული სხვა ქვეყნების მიერ, გამოააშკარავა თავისი მისწრაფება მშვიდობიანობისადმი. საბჭოთა ქვეყანა განაგრძობს კაშენი მთელ თავის ძალებს სიამოვნებით მხოლოდ მშვიდობიან მშენებლობის დარგს მოახმარდა, მაგრამ ის ვერ იტყვის უარს არმიაზე ისეთ პირობებში, როდესაც გარსშემორტყმულია საყოველთაო მტრული განწყობილებით და გაძლიერებული არმიებით. მხოლოდ ბრმა ვერ შენიშნავს, ამბობს კაშენი, რომ საბჭოთა კავშირზე დღითი-დღე ახალი თავდასხმა მზადდება. პილსუდსკი 1772 წლის საზღვრებზე ოცნებობს და ადვილად ურიგდება ე. წ. „უკრაინის მთავრობის" არსებობას თავის ტერიტორიაზე, გამოსვლას სეიმში „დამოუკიდებელ უკრაინის" სასარგებლოდ, ვოევოდის სიტყვას საბჭოთა კავშირისგან უკრაინის ჩამოშორების შესახებ და სხვ. კომუნისტ-დეპუტატების ტაშის გრიალის ქვეშ კაშენი აცხადებს, რომ უკრაინა მტკიცედ არის დაკავშირებული მთელ საბჭოთა კავშირთან. „თუ ვინმე—აცხადებს კაშენი—კითხავს უკრაინელს, სურს თუ არა მას პირდაპირ, ან არაპირდაპირ დაექვემდებაროს პოლონეთს, ან დაუკავშირდეს მას, ის პასუხად დაუყოვნებლივ გაიგონებს საყოველთაო გაკიცხვას". „იმ მტრული განწყობილების პირობებში, ამბობს კაშენი, რომელიც თანდათან იზრდება საბჭოთა კავშირის მიმართ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ პოლონეთ-რუმინეთის კავშირის არსებობის პირობებში და პოლონეთის და რუმინეთის სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის ზრდის პირობებში, თქვენ უსაყვედურებთ საბჭოთა კავშირს, რომ მას ყავს არმია, რომელსაც ის ინახავს თავდაცვის მიზნებისათვის. მაშინ, როდესაც ზემოხსენებული ფაქტები სრულ საბაბს აძლევენ საბჭოთა კავშირს სთქვას, რომ მის წინააღმდეგ მზადდება ინტერვენცია".

ბრიანი ადგილიდან: „პოლონეთი და რუმინეთი გულდამშვიდებით ვერ ეკცევიან რუსეთის ზრახვებს და ეს სავსებით გასაგებია".

კაშენი: „ისინი სცდებიან. საბჭოთა კავშირი არ აძლევს მათ ამისათვის არავითარ საბაბს".

ბრიანი: „განა პოლონეთი და რუმინეთი არ იყვნენ ამას წინად დიდი მანევრების მოწმე, რომელიც მოაწყო რუსეთმა და რომელშიაც მონაწილეობდა რამდენიმე ასეული ათასი კაცი?

კაშენი: „საბჭოთა კავშირი ვერ დაწყნარდება, რადგან ის თავის გარშემო ხედავს საერთო სიძულვილის გაძლიერებას".

ბრიანი: „პოლონეთსა და რუმინეთს სურთ მხოლოდ მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება რუსეთთან. შეგიძლიათ დარწმუნებული იყვეთ, რომ არავის აქვს აგრესიული განზრახვა რუსეთის მიმართ".

კაშენი: „მიუხედავად ამისა როგორც წარსული, ისე დღევანდელი სინამდვილე ამართლებს იმ შიშს, რომელსაც იჩენს საბჭოთა კავშირი. პოლონეთი და რუმინეთი უზრუნველყოფილნი არიან ფართე დახმარებით დასავლეთის ქვეყნების მხრივ. საფრანგეთი, რომელიც აწვდის იარაღს პოლონეთს მისი დამოუკიდებლობის პირველ დღეებიდანვე, ეხლაც განაგრძობს სამხედრო მასალების გზავნას პოლონეთში და მცირე ანტანტის ქვეყნებში".

კაშენი დაბეჯითებით მოითხოვს დაწვრილებით და სწორ განმარტებას იმ ხმების გამო, რომ ვარშავის, ბუქარესტისა და პარიზის გენშტაბის შორის დადებულია საიდუმლო ხელშეკრულება. ამასთანავე კაშენი აღნიშნავს, რომ ამის შესახებ თავის დროზე შევეკითხეთ საფრანგეთის მთავრობას, მაგრამ პასუხი არ მიგვიღიათ. შემდეგ კაშენი იხსენებს გენერალ ფოშის ცნობილ ინტერვიუს. ფოში, კაშენის სიტყვით, დღემდე იმ აზრისაა, რომ ინგლის-საფრანგეთის ანტანტას შეუძლია ანტი-საბჭოთა გეგმების განხორციელების უზრუნველყოფა.

„საბჭოთა მთავრობამ, განაგრძობს კაშენი, ათასი მაგალითი მოგვცა თავისი მოთმინებისა და მშვიდობიანი პოლიტიკის დასადასტურებლად, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ იცის, რომ ემზადებიან მაზე ხელახლად თავდასხმისათვის. ჩვენი მოვალეობაა დავანახვოთ საფრანგეთის პროლეტარიატს, რომ საფრანგეთის დიპლომატია და საფრანგეთის გენერალური შტაბი ხელს უწყობენ საბჭოთა კავშირის მეზობელ სახელმწიფოთა მმართველ წრეებს, რომლებიც ემზადებიან ახალ თავდასხმისათვის".

ბრიანი: „თქვენ ძალიან კარგათ იცით, რომ საბჭოთა მთავრობა ვერ გაბედავს ასეთ ბრალდებების წამოყენებას საფრანგეთის მთავრობის მიმართ".

კაშენი: „მე ვიცი, რომ ასეთია საბჭოთა კავშირის მშრომელთა რწმენა, რასაც საფუძვლად უდევს ფაქტები".

ბრიანი: „ეს სხვა საქმეა".

კაშენი: „საბჭოთა კავშირის ხალხები ახალ შეტევას შეხვდებიან მტკიცე რიგებით. მთელი ქვეყნის მშრომელები აღსდგებიან მათ დასაცავად. თუ სოციალისტმა პოლ ბონკურმა პოლონელებს უწოდა ბარიერი ცივილიზაციისა და ბარბაროსობის შორის, თუ მან სოციალიზმი ბარბაროსობას შეადარა, ამით თავისი თავი დააყენა რევოლიუციის უსაზიზღრეს მტრების ბანაკში".

სად დაიკარგა გენ. ზაგურსკი?

ვარშავა, 5 დეკემბერი. ნაციონალ-დემოკრატების ბელადი ტრომპჩინსკი სეიმის საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე შეეხო გენერალ ზაგურსკის საიდუმლოებით მოცულ დაკარგვას, რომელსაც ადგილი ქონდა პილსუდსკის მიერ მოხდენილი გადატრიალების შემდეგ 1926 წელში. ტრომპჩინსკიმ განაცხადა, რომ ზაგურსკი, რომელიც დაპატიმრებულ იქნა პილსუდსკის მიერ მოხდენილი გადატრიალების შემდეგ, არ გაუნთავისუფლებიათ. ზაგურსკის გვამიც არ ყოფილა აღმოჩენილი. ტრომპჩინსკი აცხადებს, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ვისლადან ამოიღეს გვამი, რომელსაც ხელ-ფეხი მოჭრილი ქონდა. „გამოძიება ამ საქმეზე,—ამბობს ტრომპჩინსკი,— საიდუმლოებითაა მოცული". შემდეგ ტრომპჩინსკიმ შეეხო დეპუტატ იდზენხოვსკის ცემას პოლონელი ოფიცრების მიერ და განაცხადა, რომ თავდასხმაში მონაწილე ოფიცრების გვარები პოლიციამ გამოარკვია, მაგრამ პილსუდსკიმ მოითხოვა საქმის შეჩერება იმ საბაბით, რომ ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტების გამორკვევამ გახრწნა შეიძლება შეიტანოს არმიაში. ზოგიერთ პროვინციალურ გაზეთს, რომლებმაც მოათავსეს ანგარიში ტრომპჩინსკის გამოსვლის შესახებ, კონფისკაცია უყვეს. (ადს).

საპრეზიდენტო არჩევნები ავსტრიაში

ვენა, 4 დეკემბერი. ოთხშაბათს მოხდება ავსტრიის პრეზიდენტის არჩევა, რადგან ახლანდელ პრეზიდენტს გაინიშს რწმუნების ვადა გაუთავდა. მაგრამ პარლამენტის პარტიები ჯერ არ შეთანხმებულან საერთო კანდიდატურის შესახებ. სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ კონსტიტუციის შეცვლასა და გაინიშის ხელ-ახლა არჩევას მომავალი ოთხი წლისთვის. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რეფორმისტებმა თავისი „ვალი" მოიხადეს.

მოსკოვი, 5 დეკემბერი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი გადმოგვცემს გერმანიის მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციების განწყობილებას და კომუნისტური პრესის აზრს იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქნა ლოკაუტის ლიკვიდაციის შემდეგ—რურის ოლქში.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე" სწერს: რეფორმისტების მოღალატური მოღვაწეობა რურის ოლქის მელითონეთა მიმართ ისე დაგვირგვინდა, როგორც ეს მრეწველებს სურდა. მუშებმა წააგეს ბრძოლა, მაგრამ ისინი დამარცხებული არ არიან. ახლო მომავალში კვლავ იფეთქებს ბრძოლა და ის უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს.

„პრავდა"-ს საკუთარი კორესპონდენტი გერმანიიდან, ეხება რა რურის უკანასკნელ ამბების შედეგებს, სწერს: ბოლო ხანებში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა რურის ოლქის მელითონეების ლტოლვა კომუნისტური პარტიის რიგებისაკენ.

„იზვესტია"-ს საკუთარი კორესპონდენტი იტყობინება: „ფორვერტს"-ი იძულებული გახდა გამოექვეყნებია სავაჭრო მუშაკთა პროფესიონალური კავშირის ხელმძღვანელის სოციალ-დემოკრატ აუფჰაუზერის სენსაციური განცხადება. აუფჰაუზერი სწერს: უდაოა, რომ მრეწველები იბრძოდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაბათილებლად. ამავე დროს თვით ხელისუფლება ფაქტიურად გაუქმებულად აცხადებს ხელისუფლებისვე აქტს (სასამართლოს გადაწყვეტილება).

ეროვნული ლიტერატურა რუსეთის სახელგამის გამოცემაში

მოსკოვი, 5 დეკემბერი. რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ეროვნებათა დასაახლოებლად იწყებს დიდ მუშაობას. განზრახულია შერჩეულ იქნას სხვადასხვა ეროვნებათა მხატვრული ნაწარმოები სიტყვა-კაზმულ ლიტერატურიდან და გადაითარგმნოს ისინი რუსულად. ამ მიზნით სახელგამმა უკვე გადასდო საჭირო თანხა. მიღებულია ზომები საუკეთესო ძალების შერჩევისათვის მთარგმნელებად. მასალები აღებულ იქნება როგორც ძველ, ისე თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურიდან.

სამეცნიერო დარგის მუშაკთა სექციის პლენუმი

მოხსენება საქართველოდან

მოსკოვი, 5 დეკემბერი. დღეს, 5 დეკემბერს, გაიხსნა სამეცნიერო დარგის მუშაკთა სექციის ცენტრალური საბჭოს პლენუმი. დღის წესრიგში დგას მოხსენება საქართველოს მეცნიერთა მდგომარეობის შესახებ.

საკავშირო ცაკის სესია

საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს კრება

მოსკოვი, 5 დეკემბერი. 4 დეკემბერს დილით საკავშირო ცაკის სესიაზე შედგა საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მოისმინა საბიუჯეტო კომისიის მოხსენება 1928—29 წლ. ბიუჯეტის შესახებ და სახელმწიფო საფინანსო კონტროლის მოხსენება 1926—27 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საბიუჯეტო კომისიის მოხსენება

საბიუჯეტო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ლიუბიმოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საბიუჯეტო კომისიამ განიხილა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შედგენილი ბიუჯეტის პროექტი და შეიტანა ზოგიერთი შესწორებები პროექტის საშემოსავლო ნაწილში—შემოსავლის თანხა გადიდდა 36.708.000 მანეთით, სათანადოთ გადიდებულ იქნა ბიუჯეტის სახარჯო ნაწილიც. საბიუჯეტო კომისიის აზრით, ეს დამატებითი სახსრები უმთავრესად უნდა განაწილდეს სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდების ხაზით. კომისიის წინადადება შეიქს—მიეცეს მთავრობას სხვადასხვა დირექტივა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის შესამზადებლად. სხვათა შორის საბიუჯეტო კომისია წინადადებას იძლევა, მთავრობამ ბიუჯეტი უფრო გასაგები გახადოს მშრომელთა ფართო მასებისათვის. ამისათვის იგი შედგენილ უნდა იქნას სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ძირითადი დარგების მიხედვით, ბიუჯეტს უნდა დაერთოს აგრეთვე შემოსავალ გასავლის საუწყებო ცნობები. მთავრობამ ბიუჯეტთან ერთად სესიას განსახილველად უნდა წარუდგინოს ფინანსების მიწოდების გეგმა საკრედიტო სისტემის ხაზით და აგრეთვე სოცდაზღვევის სამმართველოს ბიუჯეტი, რომელიც შეადგენს 1.200 მილ. მანეთს. შემდეგ მთავრობას უნდა მიეცეს დირექტივა, რომ მან გადაათვალიეროს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულება და არა უგვიანეს 1929 წლის 1 თებერვლისა შეიტანოს მაში შესწორებები გადასახადის პრაქტიკულად გატარების დროს გამორკვეულ ნაკლთა მიხედვით.

1926—27 წლის ბიუჯეტის შესრულება

1926—27 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვოინშტეინმა. მომხსენებელმა შეადარა 1926-27 წლის ბიუჯეტის შესრულება ორი წინა წლის ბიუჯეტის შესრულებას და აღნიშნა, რომ გაიზარდა კაპიტალური თანხების დაბანდება სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებში. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე უდიდესი დეფექტები ახალ მშენებლობაში, ეს დეფექტებია: მშენებლობის არა საკმაო გეგმიანობა, ჩვენი სამრეწველო აპარატის შეუგუებლობა სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან და მაღალი ზედნადები ხარჯები.

შემდეგ ამხ. ვაინშტეინი შეეხო საკითხს სასოფლო სამეურნეო კრედიტის სისტემის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ის სისტემა მრავალ ცალკე ნაწილებისაგან შესდგება და რომ მასში საკმაო მონაწილეობას არ იღებს კოოპერაცია.

საბიუჯეტო კომისიის სახელით 1926—27 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვეტოშკინმა.

დილის სხდომის დასასრულს ცაკის სესიამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელიც უნდა გაეცნოს ცაკის პრეზიდიუმის მიერ მესამედან მეოთხე სესიამდე მიღებულ დეკრეტებს და დადგენილებებს.

კამათი მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

მოსკოვი, 5 დეკემბერი. 4 დეკემბერს საღამოს სხდომაზე საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის საკავშირო საბჭოში დაიწყო კამათი 1928—29 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. პირველად გამოსული ორატორები იძლეოდნენ ბიუჯეტის საერთო შეფასებას. წამოყენებულ იქნა შემდეგი ძირითადი ამოცანები: ბიუჯეტის დაკავშირება სახალხო მეურნეობის საერთო ფინანსიურ გეგმასთან, ხარჯების გეგმიანი მოწესრიგება სოციალისტური მშენებლობის ძირითად დარგებში, ამ მშენებლობის ცალკე დარგების ურთიერთისადმი დამოკიდებულება. მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის, რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ურთიერთობა.

„ბიუჯეტი საფინანსო პოლიტიკის სარკეა,—სთქვა ამხ. პოლოზმა (უკრაინის ს.ს. რესპუბლიკა). ბიუჯეტმა პასუხი უნდა გასცეს ჩვენი მშენებლობის შემდეგ ძირითად ამოცანებს: მრეწველობის განვითარების გაძლიერებული ტემპისათვის ხელისშეწყობა, სათანადო ტემპის შექმნა სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მარცვლეული მეურნეობის განვითარებისათვის, ყურადღების მიქცევა სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორისათვის და, დასასრულ, კვალიფიციური პერსონალის კადრების შექმნა მშენებლობის დარგში დასახული ამოცანების უდიდესი ეფექტების უზრუნველსაყოფად“.

„სესიამ უნდა დაადასტუროს ბიუჯეტის ძირითადი მიმართულება“, სთქვა ამხ. კარქლინმა (ბელორუსიის ს.ს. რესპუბლიკა). მისი აზრით, ჩვენი სამეურნეო მშენებლობის მასშტაბი მოითხოვს ბევრად უფრო მრავალ ტექნიკურ ძალას, ვიდრე ამჟამად გვყავს. ამავე დროს ბიუჯეტი ამ ძალების შესაქმნელად არ გადიდდება. საჭიროა დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ სპეციალისტები სამეურნეო მშენებლობაში ჩაბმული ძალების მხოლოდ 2 პროცენტს კი არ შეადგენენ, არამედ 10 პროცენტს მაინც, როგორც ამას ადგილი აქვს მსხვილ კაპიტალისტურ მშენებლობაში.

მარიუპოლის ოლქის ილიჩის სახელობის ქარხნის მუშა ამხ. კურიცინი საბიუჯეტო საშუალებათა განაწილების საკითხს მიუდგა შრომის ნაყოფიერების ინტერესების თვალსაზრისით. ის ამბობს, რომ შეიძლება დავაყოვნოთ ისეთი ხარჯის გაღება, რომელიც საჭიროა 16 სართულიანი ახალი სახლის ასაგებად მრეწველობისათვის, მაგრამ უნდა გაიზარდოს ხარჯები ძველი ქარხნების გადასაკეთებლად და მათი გეგმების შესაცვლელად. თუ გადაკეთება არ განხორციელდა, ეს მავნე გავლენას მოახდენს შრომის ნაყოფიერებაზე და სამუშაო ხელფასზედაც.

ამხ. გაიდინმა (რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკა) და ამხ. პროხორენკომ (უკრაინის ს.ს. რესპუბლიკა) მოითხოვეს მეტი თანხების გაღება კულტურული და საბჭოთა მშენებლობისათვის სოფლად.

ამხ. გუსეინოვმა (ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპ.) ჩვენი ბიუჯეტის საერთო აგებულობა სავსებით სწორად მიაჩნია. ბიუჯეტში გამოხატულება ჰპოვა ძირითადმა ამოცანამ—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანამ. ბიუჯეტის ნაკლი ის არის, რომ ის არ შეიცავს სახალხო მეურნეობის საერთო ფინანსიურ გეგმას, რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტის სწორად შეფასების ერთ-ერთ პირობას.

მეორე ნაკლია ბიუჯეტის დაჭიმვა, განსაკუთრებით სარეწაო გადასახადის ნაწილში.

მუშგლეხკორთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 5 დეკემბერი. მუშგლეხკორთა თათბირზე გაგრძელდა კამათი ამხ. ულიანოვას მოხსენების გარშემო. თითქმის ყველა გამოსულმა ორატორმა უმთავრესად აღნიშნა ის, რომ შემდეგში პარტიამ და რედაქციებმა უფრო მტკიცე ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ მუშგლეხკორთა მუშაობას. გლეხკორები მახლობელი პერიოდისათვის თავიანთ მთავარ ამოცანად ისახავენ ბრძოლას კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარებისათვის, რომლის წინააღმდეგაც კულაკები აქტიურად ილაშქრებენ.

კამათში გამოვიდა რესპუბლიკის პროკურორი ამხ. კრილენკო.

„პროკურატურის მუშაკთა მჭიდრო და უშუალო კავშირი მუშგლეხკორებთან,—განაცხადა მან, — წარმოადგენს სამოსამართლო ორგანოების ნაყოფიერი მუშაობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. პროკურატურის მუშაკთა თათბირზე მარტში პროკურორებს დაესახათ ამოცანა — თავიანთ მუშაობის სიმძიმის ცენტრი საერთო გამოკვლევებიდან და რევიზიებიდან გადაეტანათ მჭიდრო და უშუალო კავშირზე გლეხობის აქტივთან და, პირველ ყოვლისა, ღარიბ გლეხობასთან. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს დირექტივა ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გავატარეთ ცხოვრებაში“.

ამხ. კრილენკო შეეხო მუშგლეხკორთა წერილების შედეგებს. მან აღნიშნა, რომ 1927 წელს მუშგლეხკორთა წერილების მიხედვით აღძრულ იქნა 19.408 სისხლის სამართლის საქმე და 4.094 დისციპლინარული საქმე. 1928 წლის პირველ ნახევარში 40 გუბერნიაში აღიძრა 6.894 სისხლის სამართლის საქმე და 1.836 დისციპლინარული საქმე. ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეები რამდენჯერმე მეტი აღიძრა, ვიდრე დისციპლინარული საქმეები, მოწმობს, რომ მუშგლეხკორთა წერილები მიზანს აღწევენ და ააშკარავებენ არა ჩვეულებრივ შეცდომებსა და შემთხვევით საქმეებს, არამედ ნამდვილ სისხლის სამართლის საქმეებს. შემდეგ ამხ. კრილენკო გადავიდა მუშგლეხკორთა დევნის საკითხზე და აღნიშნა, რომ უკანასკნელ წელს თვალსაჩინოდ გაძლიერდა რეპრესიები მუშგლეხკორთა დევნისათვის, მეორეს მხრივ, იზრდება მუშგლეხკორთა დევნის ფაქტების რიცხვიც. ზოგიერთ ადგილას მუშგლეხკორთა დევნა გადაიქცა ყოფა - ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენად, რომელსაც ღრმა ფესვები აქვს კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ეხლა დასმულია საკითხი: ან გაძლიერებულ იქნას რეპრესიები მუშგლეხკორთა დევნისათვის, ან მიღებულ იქნას რეპრესიები იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც დაემუქრებიან მუშგლეხკორებს.

დასასრულ, ამხ. კრილენკომ მოუწოდა მუშგლეხკორებს — ფართოდ შეუწყონ ხელი პროკურატურისა და სამოსამართლო ორგანოების მუშაობას. მხოლოდ ამ პირობებით შეიძლება იმ მიზნების მიღწევა, რომლებიც დაუსახა ჩვენს ქვეყანას საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას უკანასკნელმა პლენუმმა.

საბჭოთა წინადადებები მიზანშეწონილად იქნა ცნობილი

მოსკოვი, 5 დეკემბერი. დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელმაც პარიზში მონაწილეობა მიიღო ლონდონის მსოფლიო საფოსტო კონგრესის მოსამზადებელ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. დელეგაციის თავმჯდომარის ამხ. გირნფელდის სიტყვით, დელეგაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო კონფერენციის მუშაობაში. საბჭოთა დელეგაციამ კონფერენციაზე შეიტანა მრავალი წინადადება საერთაშორისო ფოსტის საქმის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ კონფერენციის წევრები უფრო ფართოდ გაეცნონ სხვადასხვა სახელმწიფოთა საფოსტო სამმართველოების გამოცდილებას. კონფერენციამ მიზანშეწონილად სცნო საბჭოთა დელეგაციის წინადადება და მსოფლიო საფოსტო კავშირის საერთაშორისო ბიუროს მიანდო, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატთან ერთად, შეაგროვონ საჭირო დამატებითი მასალა და შეიტანონ სათანადო წინადადებები მსოფლიო საფოსტო კონგრესზე, რომელიც მოხდება ლონდონში 1929 წელს.

ახალი ხუთჩერვონციანი ბანკნოტების გამოშვება



1-ლი დეკემბრიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკმა ხმარებაში გამოუშვა 1928 წლის ნიმუშის ახალი 5 ჩერვონციანი ბანკნოტები.

ხუთ ჩერვონციანი საბანკო ბილეთების გამოშვება არ ნიშნავს ფულის ახალი ნიშნების გამოშვებას. ხმარებაში უკვე არის 1922 წლის ნიმუშის 5 ჩერვონციანი ბილეთები; ახლად გამოშვებული ბილეთები ხმარებაში შევა ძველი ნიმუშის 5 ჩერვონციან ბილეთებთან ერთად და თანდათან შესცვლის ამ უკანასკნელებს.

„კრასინ“-ის ექსპედიციის მონაწილენი თბილისში

ზაჰესში და მცხეთაში

5 დეკემბერს დილით ამხ. ბ. ჩუხნოვსკი, ა. შელაგინი და მ. მინდლინი გაემგზავრნენ ზაჰესის დასათვალიერებლათ. სტუმრებს თან გაჰყვნენ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის წარმომადგენლები.

ზაჰესში სტუმრებმა დაჰყვეს 4 საათზე მეტი. მათ აინტერესებდათ ზაჰესის მუშაობის ყოველი წვრილმანი. ამხ. ჩუხნოვსკიმ საკმაო ცოდნა გამოიჩინა ჰიდრო-ელსადგურების მუშაობის საკითხებში და ადგილობრივი სპეციალისტებიც დიდის სიამოვნებით აძლევდნენ სტუმრებს ახსნა-განმარტებას. შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს მცხეთის ისტორიული ადგილები და დაბრუნდნენ თბილისში.

თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში

ნაშუადღევს სამი საათისათვის თბილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დიდი დარბაზი გაიჭედა სტუდენტობით. გარდა სტუდენტებისა, დარბაზში იყვნენ პროფესორები და კერძო მოქალაქენიც.

გამოჩნდნენ არქტიკის გმირები და მთელმა დარბაზმა თავისი სიხარული გამოსთქვა ხანგრძლივი ტაშის ცემით და ოვაციებით.

— მე თქვენ გიამბობთ,—იწყებს თავის მოხსენებას ამხ. ჩუხნოვსკი,—ჩვენი, საბჭოთა ექსპედიციების და უმთავრესად საბჭოთა ავიატორების თავგადასავალს შორეული ჩრდილოეთის ყინულების უსაზღვრო ველებზე. კაპიტალისტური ქვეყნების პრესა თავიდანვე მტრული განწყობილებით შეხვდა ჩვენს მუშაობას, მაგრამ ჩვენი გამარჯვების გამო იგივე პრესა შემდეგ იძულებული გახდა ხოტბა შეესხა ჩვენთვის.

შემდეგ ამხ. ჩუხნოვსკი გადადის „კრასინ“-ის ექსპედიციის მუშაობის სხვადასხვა მომენტების აღწერაზე და დაწვრილებით ჩერდება საბჭოთა ექსპედიციების მიერ შეგროვილ სამეცნიერო მასალების მნიშვნელობაზე მთელი მსოფლიო მეცნიერებისათვის.

მოხსენების დასრულების შემდეგ მოკლე სიტყვით გამოვიდა ამხ. შელაგინი. ორივე ორატორს დარბაზმა გაუმართა ხანგრძლივი ოვაცია.

ავტოკლუბში

საღამოს 6 საათზე დანიშნული იყო ტრანსპორტის მომუშავეთა საერთო კრება ავტოკლუბში, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ ამხ. ჩუხნოვსკი და შელაგინი.

კრება გახსნა „ზაკავტოპრომტორგის“ წარმომადგენელმა ამხ. ცურინოვმა, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა არქტიკის გმირებს და აღნიშნა მათი დამსახურება საბჭოთა საზოგადოებრიობისა და მთელი მსოფლიოს წინაშე.

მოხსენების შემდეგ „კრასინ“-ის გმირები გაემგზავრნენ ქალაქის რაიონის პარტკონფერენციაზე, სადაც მათ ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. პარტკონფერენციის სხდომაზე სტუმრები გამოვიდნენ მოკლე საინფორმაციო სიტყვებით.

საღ. 8 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შედგა ამხ. ჩუხნოვსკის ფასიანი მოხსენება, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

სად შესდგება კრასინელების მოხსენებები

დღეს დილით „კრასინი“-ს ექსპედიციის მონაწილენი ინახულებენ საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს და საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლ. ქართველიშვილს.

დღის 12 საათზე შესდგება ამხ. ჩუხნოვსკისა და შელაგინის მოხსენება აეროდრომის თანამშრომელთათვის. დღის 2 საათისათვის კრასინელები ესტუმრებიან სახკინმრეწვს, სადაც ისინი გადაღებული იქნებიან კინო-ქრონიკისათვის.

ნაშუადღევს 3 საათზე შესდგება სამექანიკო-სარტილერიო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. ა. შელაგინი. საღ. 5 საათზე შესდგება ლენინის რაიონის მუშების საერთო კრება პლეხანოვის კლუბში, სადაც მოხსენებით გამოვა ამხ. ბ. ჩუხნოვსკი. საღამოს 7 საათზე წითელი არმიისა და ფლოტის სახლში დანიშნულია წითელი არმიის ნაწილებისა და ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის მსმენელთა საერთო კრება. მოხსენებით გამოვა ამხ. ჩუხნოვსკი. საღამოს 8 ნახევარ საათზე ხელოსანთა კლუბში მოხსენებას გააკეთებს ამხ. შელაგინი.

ღამის 12 საათზე ექსპედიციის მონაწილენი გაემგზავრებიან ბაქოში.

სამომხმარებლო კოოპერაციის სადუქნო-საკონტროლო კომისიების კონფერენცია

გუშინ საღამოს მუშკოოპის გამგეობის შენობაში გაიხსნა სამომხმარებლო კოოპერაციის სამივე სისტემის (მუშკოოპი, ა.-კ. სატრანსპორტო კოოპერაცია და სამხედრო კოოპერაცია), სადუქნო-საკონტროლო კომისიების საქალაქო კონფერენცია, რომელიც მოწვეულია თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატ. სექციის თაოსნობით. კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) სადუქნო- საკონტროლო კომისიების როლი ვაჭრობის მოწესრიგების საქმეში, 2) სამომხმარებლო კოოპერაციის სამივე სისტემის საორგანიზაციო განყოფილებათა წარმომადგენლების მოხსენებები და 3) ტიპიურ სადუქნო კომისიების საანგარიშო მოხსენებები.

სამომხმარებლო კოოპერაციის სადუქნო-საკონტროლო კომისიების კონფერენცია

მომხსენებელი ამხ. ლორთქიფანიძე

რამდენადაც,—ამბობს მომხსენებელი, კოოპერაცია იპყრობს ბაზარს და იქიდან აძევებს კერძო ვაჭარს, დიდდება და მნიშვნელოვანი ხდება სადუქნო-საკონტროლო კომისიების როლი კოოპერატიული ბაზრის მოწესრიგების საქმეში. კოოპერაციას დაკისრებული აქვს არა მარტო უზრუნველჰყოს პირველი საჭიროების საქონლით მომხმარებელთ მასა, არამედ მიზანშეწონილად გაანაწილოს საქონელი სოფლის და ქალაქის მომხმარებელთა შორის. ამისთვის კი აუცილებელია მომხმარებელთა მოთხოვნილებისა და საერთოდ, ბაზრის მდგომარეობის შესწავლა. სწორედ ამ საქმეში, კოოპერაციისთვის დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია სადუქნო-საკონტროლო კომისიებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის შესწავლას და გამორკვევას, თუ რა წყაროებიდან ღებულობს კერძო ვაჭარი იმ საქონელს, რომელზედაც შემჩნეულია საერთო ნაკლებობა.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის შარშანდელი დადგენილების თანახმად სადუქნო კომისიები, უნდა გახდნენ იმ კოოპერატიულ საწარმო-დაწესებულებათა საკონტროლო ორგანოებათ, რომელზედაც ისინი არიან მიმაგრებულნი.

რა უნდა გააკეთონ კონკრეტულად ამ კომისიებმა? პირველ ყოვლისა, ყოველმხრივ და დაწვრილებით უნდა შეისწავლონ იმ რაიონის მცხოვრებთა მოთხოვნილება და საჭიროებანი, სადაც მუშაობა უხდება იმ კოოპერატიულ ერთეულებს, რომელზედაც ისინი არიან მიმაგრებულნი.

მეორე კონკრეტული ამოცანა, რომელიც უნდა გადასჭრას სადუქნო-საკონტროლო კომისიამ,—არის მყიდველთა კადრის გამოკვლევა. ხშირად, კოოპერატიული სავაჭროების მუშაობის ხასიათს განსაზღვრავს მომხმარებელთა კადრი, თუ ეს კადრი შესდგება მუშებისაგან, საქონლის ასორტიმენტი [illegible] უნდა განსხვავდებოდეს იმ კოოპერატიული ერთეულის საქონლიდან, რომელსაც მოქმედება უხდება ისეთ რაიონში, სადაც თავს იყრის სოფლიდან ჩამოსული გლეხობა.

სავაჭრო წერტილების მოწყობა, მათი განაწილება რაიონების მიხედვით, რთული საქმეა და აქაც კოოპერატიული ორგანიზაციები საჭიროებენ საკონტროლო კომისიების აქტიურ დახმარებას. ცხადია ყველა ამ ფუნქციის ასრულებას, სადუქნო კომისიები შესძლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წინასწარ შეისწავლიან და გაეცნობიან იმ ერთეულებს, რომელზედაც ისინი არიან მიმაგრებულნი, მაგრამ მათი მუშაობის ნაყოფიერებისათვის ესეც არ არის საკმაო. საკონტროლო კომისიები უნდა იცნობდნენ ყველა ინსტრუქციებს, დადგენილებებს და დირექტივებს, რომლებიც საგეგმო და მომწესრიგებელ ორგანოების მიერ არის გამოცემული კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

საკონტროლო კომისიები მარტო ამ ამოცანებით ვერ შემოფარგლავენ თავის საქმიანობას. მათ ყურადღება უნდა მიაქციონ თვით კოოპერატიული ერთეულების შინაურ მხარეს, ენერგიული ბრძოლა უნდა აწარმოონ ზედმეტ ხარჯებთან, შტატების ხელოვნურ გადიდებასთან, თვალყური ადევნონ საქონლის ღირსებას და მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივების სამუშაო გეგმის შედგენაში. კომისიები გვერდს ვერ აუხვევენ აგრეთვე კოოპერატივის მუშაკთა მომხმარებლებისადმი დამოკიდებულების საკითხს. მათ თვალყური უნდა ადევნონ, რომ ნოქრების მოპყრობამ მყიდველებისადმი იყოს თავაზიანი და წესიერი.

დასასრულ მომხსენებელი საჭიროდ სთვლის, რომ სადუქნო კომისიებმა მონაწილეობა მიიღონ თბილისის საბჭოს სავაჭრო კოოპერატიულ სექციის მუშაობაში, რისთვისაც მათ უნდა გამოყონ ამ სექციაში თავისი წარმომადგენლები.

პარტიაში

მისალმება „პრავდას“

ხარკოვი, 5 დეკემბერი. საოლქო პარტკონფერენცია მიესალმა მსოფლიო კომუნისტური რევოლუციისათვის სახელოვანსა და დაუღალავ მებრძოლს, შეურიგებელ მებრძოლს ლენინიზმისათვის და პარტიული რიგების მტკიცე მთლიანობის ფხიზელ დარაჯს—პარტიის ცენტრალურ ორგანოს „პრავდას“.

კონფერენცია ერთსულოვნად ესალმება იმ შეურიგებელ ბრძოლას, რომელსაც „პრავდა“ აწარმოებს ლენინური ხაზიდან, პარტიის გენერალური ხაზიდან და მე-15 პარტიული ყრილობის ხაზიდან გადახრების წინააღმდეგ. „პრავდას“ გარკვეული და შეურიგებელი ბრძოლა ეხლანდელი მომენტის მთავარი საფრთხის—მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, შეუნელებელი ბრძოლა ტროცკიზმთან—ნათქვამია მისალმებაში—აერთებს და რაზმავს პროლეტარიატისა და ჩვენი პარტიის ძალებს იმ აქტიურ მუშაობაში, რომელიც საჭიროა სოციალიზმის მშენებლობისათვის, ჩვენს გზაზე აღმართულ სიძნელეთა დაძლევისათვის, პარტიის გენერალური ხაზის—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და რეკონსტრუქციის განხორციელებისათვის, მშრომელთა მასების ძალთა კოლექტივიზაციისათვის და მათი ნივთიერი და კულტურულ დონის შემდგომი გაძლიერებისათვის“ (ადს).

მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ

ლენინგრადი, 5 დეკემბ. შესდგა კრონშტადტის საზღვაო ბაზის მთელი რიგი პარტკონფერენციები. კონფერენციებმა ერთხმად მოიწონეს ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი (ადს).

ლუგანსკი, 5 დეკემბ. ქალაქის და განაპირა რაიონების პარტაქტივის საერთო კრებამ სავსებით და მთლიანად მოიწონა ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები. აქტივმა აღნიშნა, რომ მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებელ განწყობილების წინააღმდეგ ბრძოლა დღევანდელი დღის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ლუგანსკი, 5 დეკემბ. ლუგანსკის გაერთიანებულმა საქალაქო სარაიონო პარტკონფერენციამ მოისმინა საინფორმაციო მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ და ერთხმად მოიწონა პარტიის ხაზი მეხუთმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარების საქმეში. კამათში გამოსული ამხანაგები მოითხოვდნენ გადამწყვეტ ბრძოლას ყოველგვარ მერყეობის წინააღმდეგ პარტიაში.

მინსკი, 5 დეკემბ. მთელს ბელორუსიაში ჩატარებულ იქნა სარაიონო პარტკონფერენციები. კონფერენციების რეზოლიუციებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებელ დამოკიდებულებას, რასაც კონფერენციები სასტიკად გმობენ (ადს).

კიევი, 5 დეკემბერი. ლენინისა და ოქტომბრის რაიონების პარტიული კონფერენციები თავის რეზოლიუციებში ულმობელად შეებრძოლნენ ყოველგვარ ცდას, რომლის მიზანია შეანელოს შეტევა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, შეაფერხოს სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიალიზაციის განვითარება და ბიუროკრატიულად შეზღუდოს თვითკრიტიკა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთსულოვნად დაჰგმეს მემარჯვენე გადახრა, როგორც ოპორტუნისტული გადახრა, და აგრეთვე შემარიგებელი დამოკიდებულება მისდამი (ადს).

როგორ მიმდინარეობს პარტკონფერენციები

აჭარისტანი

1 დეკემბერს, საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ლ. ქართველიშვილის მოხსენება საქ. კომპარტიის (ბ) მორიგ ამოცანების შესახებ.

მესამე სხდომაზე ამხ. ქართველიშვილმა თავისი მოხსენება წაიკითხა რუსულად. რის შემდეგაც დაიწყო კამათი.

მეოთხე სხდომაზე (2 დეკემბერს) მოსმენილ იქნა ამხ. ქართველიშვილის საბოლოო სიტყვა და გამოიყო კომისია რეზოლიუციის შესამუშავებლად.

ამავე სხდომაზე დაიწყო ამხ. ფანცხავას საანგარიშო მოხსენება აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ. მოხსენების დროს კონფერენციას ეწვიენ „კრასინის“ ექსპედიციის მონაწილენი ამხ. ჩუხნოვსკის მეთაურობით. ამხ. ჩუხნოვსკიმ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც იგი შეეხო „კრასინის“ ექსპედიციის მუშაობის მთავარ მომენტს.

ამხ. ფანცხავას მოხსენება დასრულდა 3 დეკემბრის დილის სხდომაზე. სარევიზიო კომისიის ანგარიშის მოსმენის შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელიც გრძელდებოდა მეექვსე სხდომაზედაც.

ქუთაისი

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

მეოთხე და მეხუთე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ა. კეკელიას მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 50-მდე დელეგატმა, უმთავრესად სოფლის კომუნისტებმა. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ორგანიზაციის ზრდა ხდებოდა მუშების ხარჯზე. ახლად მიღებულთაგან 89 პროც. მუშებია, უჯრედის კრებები სისტემატიურად ეწყობოდა. ცოცხალი კავშირი უჯრედებთან გაუმჯობესდა. დელეგატები განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავდნენ იმას, რომ ქუთაისის ორგანიზაცია ერთსულოვნად შეებრძოლა მემარჯვენე გადახრას. ბიუროების გადარჩევა და რაიონული კონფერენციები ჩატარდა ამ საფრთხესთან ბრძოლის ნიშან ქვეშ, მუშურ თვითკრიტიკის საფუძველზე.

ღარიბ გლეხთა ჯგუფები რამდენიმე თვის წინედ ჩამოყალიბდა, მათი საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ამ მიმართულებით საჭიროა პარტკომმა უფრო მეტი მუშაობა აწარმოოს.

გუშინ კონფერენციის დელეგატებმა დაათვალიერეს დაწინაურებულ მუშებისათვის მოწყობილი საქმიანი კლუბი და აგიტპროპმუშაკთა კაბინეტი, რომლის საზეიმო გახსნა მოხდება დღეს.

ქალაქის რაიონი

მეხუთე სხდომა

კონფერენციის მეხუთე სხდომაზე (5 დეკემბერს) გაიმართა კამათი რაიკომის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ.

ამხ. ბაინდუროვი—უჯრედების მონაწილეობა სამეურნეო საქმიანობაში სუსტია. დაწესებულების აპარატი გაურბის უჯრედის ხელმძღვანელობას. უჯრედები ბევრს ცდილობენ გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა საბჭოთა-საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, აძლევენ ამ უკანასკნელს მითითებებს, მაგრამ ეს მითითებანი ცხოვრებაში არ ტარდება. უჯრედების მიერ წამოჭრილ საკითხებს რაიკომმა უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. საჭიროა უჯრედებმა ისარგებლონ ერთმანეთის გამოცდილებით.

ამხ. ოსიპოვი—მომხსენებელი ნაკლებად შეეხო ბიუროკრატიზმს და პროტექციონიზმს, რომელსაც მაგრად აქვს გადგმული ფესვები განსაკუთრებით ქალაქის რაიონის დაწესებულებებში. პარტიული უჯრედები ვერ აწარმოებენ მუშაობას თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისათვის. სამეურნეო საკითხებზე უჯრედები ნაკლებად ზრუნავენ.

ამხ. გოგორიშვილი—ზოგიერთი ამხანაგის მუშაობაში სჩანს მემარჯვენე გადახრის ნიშნები. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს კომუნისტების ყოფა-ცხოვრების საკითხებს. ადგილი აქვს ლტოლვას გამდიდრებისაკენ, რაც ცუდ გავლენას ახდენს მშრომელ მასაზე. საჭიროა კონტროლის გაწევა კომუნისტ ამხანაგების ოჯახური ცხოვრებისათვის. ამ მხრივ უნდა გამოვიყენოთ მოსკოვის პრაქტიკა. ჩვენს სინამდვილეში, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის უმეტეს შემთხვევებში მარტო სიტყვიერად ვაწარმოებთ. რაც უნდა გამოსწორდეს. სახალხო კვების საქმე ცუდათ არის დაყენებული, საბჭოთა და კერძო სასადილოები ერთნაირად არ უნდა იბეგრებოდეს.

ამხ. აქსენტიევი—(ა. წ. დროშ. არმიის სარდალი)—თქვენ იცით, თუ როგორ ემზადებიან იმპერიალისტური სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინააღმდეგ. ისიც იცით, თუ რა დიდი სიძნელეები გვხვდება სოციალისტურ სახელმწიფოს შენების საქმეში. არავითარ გაჭირვების, არავითარ დაბრკოლების დროს, არც ერთ წუთს არ უნდა დავივიწყოთ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს თავდაცვის საქმე. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყოველდღიურ მუშაობაში უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ მოსახლეობის გასამხედროებას. ა.-კავკასიაში წითელ არმიელთა ცხოვრების პირობები ჯერ კიდევ ცუდათ არის დაყენებული. უფროშემადგენლობის დიდ ნაწილს უბინაობის გამო ამხანაგებთან და ნათესავებთან უხდებათ შეკედლება. 1929 წლის 1-ლ იანვრიდან ჩატარდება **წითელი ყაზარმის კვირეული.** ყველა საბჭოთა მოქალაქემ უნდა შეისწავლოს და მიიღოს მონაწილეობა წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. უნდა განვამტკიცოთ კავშირი მასებსა და წითელ არმიას შორის. საჭიროა წითელ არმიას დავეხმაროთ როგორც მორალურად, ისე მატერიალურად. კონფერენციამ თავის დადგენილებებში უნდა დასახოს ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერების კონკრეტიული ღონისძიებანი.

ამხ. დევდარიანი—არ შევჩერდები მემარჯვენე და მემარცხენე გადახრებზე, რადგან მუშა-კომუნისტები ყოველთვის მტკიცედ სდგანან პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე. საჭიროა მერყევი ელემენტები ჩამოშორდნენ პარტიას, რათა მოგვეცეს მშრომელთა საკეთილდღეოდ უფრო მშვიდობიანი მუშაობის საშუალება. მუშების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. „ზაჰესის“ ენერგიის მეტის-მეტმა სიძვირემ მუშებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. წყალთა სამმართველოში ყველაფერი თავის რიგზე არ არის, მუშგლეხინმა მიიღო ზომები, მაგრამ შედეგები კი არ ვიცით, ჯერ-ჯერობით იქ მდგომარეობა უცვლელია.

ამხ. მირველოვი.—ოპერის თეატრში ერთის მაგიერ, ოთხი დირექტორია. ადმ. სამეურნეო ხარჯების შემცირების დირექტივა აქ უკუღმა გატარდა, ხარჯები გაიზარდა 100-200 პროცენტით. ასეთი არის „თეატრის სპეცების“ მოთხოვნილება. აქტიორებს, რომელთაც მთელი თვის განმავლობაში სცენაზე არც კი უხდებათ გამოსვლა, ასეულ მანეთობით ეძლევათ თვიურად, უთავბოლოდ რიგდება თეატრის უფასო კონტრამარკები.

კამათის დროს კონფერენციას ეწვიენ „კრასინი“-ს ექსპედიციის მონაწილენი ამხ. ჩუხნოვსკი და შელაგინი. დელეგატები მხურვალე ოვაციებით შეეგებენ პოლიარული ექსპედიციის გმირებს. ამხ. ჩუხნოვსკიმ და შელაგინმა მოკლედ გააცნეს კონფერენციას „კრასინ“-ის ექსპედიციის მუშაობის ზოგიერთი მომენტები.

კახეთის მაზრა

სამი დღის გაცხოველებული მუშაობის შემდეგ—26 ნოემბერს დასრულდა კომპარტიის (ბ) კახეთის ორგანიზაციის პირველი პარტკონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მოხსენება, 2) სამაზრკომის ანგარიში და სარევიზიო კომისიის თანამოხსენება, 3) პარტსამეულის ანგარიში, 4) მაზრის კოოპერატიული ორგანიზაციების მდგომარეობა და პერსპექტივები, 5) სამაზრკომის ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევნები.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. კახიანმა.

კონფერენციამ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მუშაობა მთლიანად დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და მტკიცე რწმენა გამოსთქვა, რომ საქართველოს კომპარტია, მისი ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით, ახლო მომავალში, მოიპოვებს კიდევ მეტ გამარჯვებებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის ფრონტზე.

არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია კახეთის სამაზრკომის ანგარიშმა—ამხ. მ. ვარამაშვილის ვრცელმა მოხსენებამ.

კახეთი მთლიანად სასოფლო სამეურნეო რაიონია და ამიტომ ამხ. ვარამაშვილის მოხსენებაც, უმთავრესად სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა.

გამოირკვა, რომ მაზრის პარტორგანიზაციის მიერ არამც თუ შენარჩუნებულია მიწის ნაციონალიზაციის პირველი შედეგები, არამედ ჩვენი რევოლუციონური კანონიერების საფუძველზე მიწის ნაციონალიზაცია კიდევ უფრო მტკიცედ ტარდება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე მაზრაში, არა მშრომელ ელემენტებს ჩამოერთვათ 12.000 დესეტინა მიწა, რაც გადაეცა მაზრის უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხობას. ჩამორთმეულ მიწებზე უმთავრესად ძვირფასი კულტურებია გაშენებული, როგორიცაა: ვენახები, თამბაქოს პლანტაციები, არის აგრეთვე საპურე მცენარეებიც.

მიწის ნაციონალიზაციის გატარების შემდეგ თვალსაჩინოდ მატულობს სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებაც. ყოფ. თელავისა და სიღნაღის მაზრებში 1927—28 სამეურნეო წლის მოსავალი 13 პროც. აღემატება 1913 წლის მოსავალს.

სოფლის მეურნეობის საერთო აღდგენა განვითარებასთან ერთად, სერიოზულად იზრდება მისი სოციალისტური სექტორი—კოლექტიური მეურნეობები. მარტო უკანასკნელ სამეურნეო წელს მაზრაში 69 კოლექტივი დაარსებულა, საერთოდ კი მაზრაში 149 კოლექტივი არსებობს. კოლექტივებში შეკავშირებულ კომლთა რიცხვი მოსახლეობის 5,2 პროცენტს შეადგენს. მართალია ეს არც ისე დიდი პროცენტია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კოლექტივიზაცია ძლიერ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, უნდა ითქვას, რომ სამაზრო ორგანიზაციას ამ დარგში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე მაზრის სოფლის მეურნეობის განვითარების უდიდესი პერსპექტივები ალაზნის არხის გაყვანის დამთავრებასთან დაკავშირებით, რომლის ნაწილობრივი გამოყენებაც განზრახულია მიმდინარე სამეურნეო წელს და, რომელიც მთლიანად მოთავდება 1930 წლის პირველ ნახევარში.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო შინაპარტიულ მდგომარეობას და სთქვა: „არალეგალურ პერიოდიდან დღემდე კომპარტიის კახეთის ორგანიზაცია მტკიცედ სდგას ლენინური ერთსულოვნების და მთლიანობის სადარაჯოზე კომპარტიის კახეთის ორგანიზაციამ შესძლო სავსებით გაებათილებინა ანტი-კომუნისტური პარტიების და განსაკუთრებით მენშევიკების იდეოლოგიური გავლენა და ალეკვეთა მათი ავანტიურისტული ზრახვები. კ.პ. (ბ) კახეთის ორგანიზაციამ არ დაუშვა ტროცკისტული ოპოზიციის დამარღვეველი მუშაობა და წინასწარ მიიღო ყველა ზომები იმისათვის, რომ ოპოზიციას არ შესძლებოდა რაიმე ზიანი მიეყენებინა პარტიის მთლიანობისათვის. კ.პ. (ბ) კახეთის ორგანიზაცია შესძლებს საკადრისი პასუხი მისცეს მემარჯვენე გადახრის იმ რეციდივებს, რომლებმაც ეხლახან იჩინა თავი და, რომელიც ტროცკისტულ ოპოზიციაზე არა ნაკლები სახიფათოა“.

ეს განცხადება დაადასტურა კონფერენციამ თავის რეზოლიუციაში, რომელშიაც ის სასტიკ და შეუბრალებელ ბრძოლას მოითხოვს ყოველგვარ მავნე გადახრების წინააღმდეგ პარტიაში.

კონფერენციამ სამაზრკომის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და მისცა მთელი რიგი კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებანი ახლად არჩეულს მაზრკომს.

პარტსამეულის [illegible] და კოოპერატიული ორგანოების მუშაობაზე მოხსენების შემდეგ კონფერენციამ აირჩია სამაზრკომის ახალი შემადგენლობა 51 წევრის და 17 კანდიდატის შემადგენლობით.

დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კონფერენცია შინაპარტიული დემოკრატიის უაღრესად გამოყენების და თვით კრიტიკის არაჩვეულებრივად გაშლის საფუძველზე ჩატარდა. მარტო სამაზრკომის ანგარიშის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 62 დელეგატმა (კონფერენციას სულ დაესწრო 150 დელეგატი).

კონფერენციის დამთავრებისთანავე გაიხსნა ახლად არჩეულ სამაზრკომის პირველი პლენუმი, რომელმაც გამოჰყო პრეზიდიუმი 13 წევრისა და 5 კანდიდატის შემადგენლობით და აირჩია სამაზრკომების აპარატის პასუხისმგებელი პირები. კახეთის სამაზრკომის მდივნად პლენუმმა ერთხმად დაამტკიცა ამხ. მოსე ვარამაშვილი.

ბაკაი ჭოჭუა.

ხონი

25 ნოემბერს დამთავრდა ხონის მეთერთმეტე პარტკონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. სამაზრკომის მოხსენება, 2. ხონის საქალაქო კომიტეტის ანგარიში ერთი წლის მუშაობის შესახებ, 3. არჩევნები.

ხონის საქალაქო კომიტეტის მუშაობის ირგვლივ კონფერენციამ მოისმინა ამხ. კაციტაძის მოხსენება. პარტიული კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

კონფერენცია ერთხმად და სავსებით შეუერთდა საკავშირო და საქართველოს კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების დადგენილებებს მემარჯვენე საფრთხის შესახებ და დაავალა ახლად არჩეულ კომიტეტს დაუნდობელი ბრძოლა აწარმოოს როგორც მემარჯვენე გადახრის, ისე მასთან შემარიგებელ დამოკიდებულების წინააღმდეგ. კონფერენციამ აღნიშნა რა ზოგიერთ ორგანიზაციებთან არსებულ ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობის სისუსტე, დაავალა კომიტეტს გადამჭრელი ზომები მიიღოს ჯგუფების მუშაობის თავის დონეზე დასაყენებლად.

აღნიშნა რა მუშათა პროცენტის სიმცირე, საბჭოს შემადგენლობაში, კონფერენციამ საჭიროდ აღიარა, მომავალ საბჭოთა არჩევნების დროს მეტი ყურადღება მიექცეს ამ ნაკლის გამოსწორებას.

სასოფლო მეურნეობის დარგში კონფერენციამ დაავალა პარტკომს ხელი შეუწყოს კოლექტიურ მეურნეობათა ქსელის გაშლა-გაფართოებას და მათთვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას.

ე. კ—ძე.

მიღების პირობები

ამხ. სვერდლოვის სახელობისა და ლენინგრადის კომუნისტურ უნივერსიტეტში 1929—30 წლისათვის

1929—30 სამოსწავლო წლისათვის ლენინგრადის კომუნისტურ უნივერსიტეტში, მომავალი სამოსწავლო წლისათვის თბილისს მიეცა—2 ადგილი, კახეთს—1 და შორაპანს—1. სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტში თბილისს მიეცა 2 ადგილი (აქედან ერთი მუშა ქალისათვის), ქუთაისს—1 და აჭარისტანს, სამხრეთ-ოსეთს და აფხაზეთს თითო-თითო.

ლენინგრადის და სვერდლოვის უნივერსიტეტებში გასაგზავნ კანდიდატების შერჩევა მოხდება საქ. კომ. პარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებაში.

1929—30 სამოსწავლო წლის განმავლობაში ამხ. ი. სვერდლოვის სახელობის და ლენინგრადის კომუნისტურ უნივერსიტეტებში მსმენელთა მისაღებად შემუშავებულია შემდეგი წესი:

ორივე კომუნისტურ უნივერსიტეტში მიიღებენ იმ ამხანაგებს, რომელთაც აქვთ არა ნაკლებ 3 წლის საწარმოო სტაჟისა. (საწარმოო შეგირდობისა და გლეხურ მეურნეობაში მუშაობის ვადა 16 წლის ჰასაკამდე სტაჟში არ ჩაითვლება), მისაღებ კანდიდატებს უნდა ჰქონდეს აქტიური პარტმუშაობის სამი წლის სტაჟი და 5 წლის საერთო პარტიული სტაჟი. ჰასაკით ეგი უნდა იყოს 23—32 წლის, ყველა ამ მსურველთა შორის, რომლებიც ამ პირობებს დააკმაყოფილებენ, უპირატესობა მიეცემათ სამოქალაქო ომების მონაწილეებს და წითელი არმიის ყოფ. მუშაკებს, თუმცა წითელ არმიაში სამსახური ვერ შესცვლის საწარმოო სტაჟს.

უნივერსიტეტებში შესვლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ საერთო მომზადების შემდეგი დონე: **რუსულ ენაში.** უნდა შეეძლოთ თავისუფლად კითხვა და წაკითხულის თავისუფლად გადაცემა, როგორც ზეპირად, ისე წერით. **მათემატიკაში**—უნდა იცოდნენ თავისუფლად, არითმეტიკის ოთხივე მოქმედება, ათწილადი წილადები, პროცენტული გამოანგარიშება, პროპორციები და შესაფერის ამოცანებს გამოყვანა. **გეოგრაფიაში**—მათ უნდა იცოდნენ ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის ძირითადი საფუძვლები და თავისუფლად უნდა ერკვეოდნენ გეოგრაფიულ რუქებზე.

პოლიტიკური ეკონომიიდან უნდა ჰქონდეთ საერთო ცოდნა მიხალევსკის სახელმძღვანელო „პოლიტიკური ეკონომიის“ კურსის მასშტაბით.

გარდა ამისა შემსვლელებმა უნდა იცოდნენ კლასიური ბრძოლის ისტორიის ყველა საყურადღებო მომენტები და უნდა შეეძლოთ სწორად ვაერკვნენ მიმდინარე პოლიტიკურ ამბებში. მათ სწორად უნდა ესმოდეთ პარტიული ყრილობების და კონფერენციების დადგენილებები, განსაკუთრებით მე15 პარტკონფერენციის, მე-14 და მე-15 პარტყრილობების და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილებები. პარტიის ისტორიის ცოდნა სავალდებულოა მე-2 საფეხურის საბჭოთა პარტსკოლის კურსის ფარგლებში.

ის ამხანაგები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნილებებს, კომუნისტურ უნივერსიტეტებში არ იქნებიან მიღებული.

გადამდებ სნეულებებით შეპყრობილები (მათ შორის ვენერიული სნეულებებით დაავადებულნი), კლინიკური ფორმის ნევრასტენიკები, ტუბერკულოზიანები და კუჭ-ნაწლავების ქრონიკული ავადმყოფობებით დაავადებულნი, უნივერსიტეტებში არ დაიშვებიან. ინვალიდობა, თავის-თავად ხელს არ უშლის უნივერსიტეტებში მიღებას.

ყველა ის ამხანაგები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ უნივერსიტეტებში მიღების პირობებს გაგზავნილი იქნებიან უკანვე, მომვლინებელ პარტიული ორგანიზაციების ხარჯზე.

მოსკოვის, ამხ. ი. სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში გასაგზავნ კანდიდატთა გადამრჩევი კომისიების მუშაობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე. სვერდლოვის უნივერსიტეტში გასაგზავნად გამოყოფილმა ამხანაგებმა თავისი ავტობიოგრაფიები და ანკეტები (რუსულ ენაზე), უნდა გაგზავნონ 1929 წლის 15 იანვრამდე (მოსკოვი 55, მიუსის მოედანი, სახლი № 2, სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტს). გაგზავნილ ამხანაგებს ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა უნდა მისცენ შესაფერი პარტბარათი და სხვა საჭირო დოკუმენტები. ისინი, ვისაც არ ექნება საჭირო პარტიული დოკუმენტები და მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, უნივერსიტეტში არ იქნება დაშვებულნი.

კომუნისტურ უნივერსიტეტებში შესასვლელად საჭიროა აგრეთვე გადაგზავნილ იქნეს მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ და ხელწერილი, რომ კანდიდატმა წინდაწინვე იცოდა უნივერსიტეტში მიღების პირობები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის
საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება
წინადადებას იძლევა
პარტიული მეცადინეობის მორიგ დღეს

პარტგანათლების მთელ ქსელში (მთლიანი პარტსკოლები, საღამოს საბპარტსკოლები, საცნობრივი წრეები, მიმდინარე პოლიტიკის წრეები და სხვ.) **დამუშავებულ იქნას**

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის ძირითადი გადაწყვეტილებები

მასალების მისაღებად ხელმძღვანელებმა უნდა მიმართონ პარტიის სათანადო რაიკომებს.

საბჭოთა არჩევნები

პარტხელმძღვანელობა არჩევნებზე

პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არჩევნების დროს უნდა გამოიხატოს პირველ ყოვლისა საარჩევნო კომისიების შემადგენლობის სწორად შერჩევაში. საარჩევნო კომისია არის ის ორგანო, რომელსაც უმთავრესად აწევს მთელი პრაქტიკული მუშაობა არჩევნების ჩასატარებლად. საარჩევნო კომისიებს ხელისუფლება ანდობს მეტად მჭრელ კლასობრივ იარაღს საარჩევნო კანონის სახით ამ კანონის სწორად გამოყენებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არჩევნების შედეგებისათვის. არ უნდა დაუშვათ საარჩევნო უფლების არც გაფართოებით, არც შეზღუდვით განმარტება. აცილებულ უნდა იქნეს საარჩევნო უფლების უკანონოდ ჩამორთმევის შემთხვევები. ამ მხრივ წარსულ არჩევნებზე ზოგან დაშვებული იყო აშკარა შეცდომები. იყო, შემთხვევა, როცა საარჩევნო უფლება წაართვეს კომკავშირელებს, როგორც ხელოსნების შვილებს (გორის მაზრა) და სხვ.

რომ ასეთ შეცდომებს არ ექნეს ადგილი, ჯერ ერთი, საჭიროა საარჩევნო კომისიებში წამოყენებულ იქნენ შეგნებული, პოლიტიკურად მტკიცე ელემენტები და უზრუნველყოფილ იქნას მათში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხობის წარმომადგენლობა, შემდეგ აუცილებელია პარტორგანიზაციებმა მუდმივი ხელმძღვანელობა გაუწიონ საარჩევნო კომისიების მუშაობას, მათი მოხსენებების ხშირად მოსმენით და მუშაობის პერიოდულად შემოწმებით.

პარტიული ხელმძღვანელობის შემდეგი ამოცანა სოფლად არის სასოფლო-სამეურნეო მუშების, მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხობის შეკავშირება არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში.

კულაკები ცდილობენ განამტკიცონ თავიანთი გავლენა ღარიბ გლეხობაზე.

საბჭოთა არჩევნების დროს მდიდარი გლეხი შეეცდება ღარიბი გლეხის მიმხრობას. გასულ არჩევნებში ასეთ ცდებს ბევრგან ჰქონდა ადგილი. მაგ., ზუგდიდის მაზრის ზოგიერთ თემში (ანაკლია, დარჩელი, წალენჯიხა), კულაკები საარჩევნო უფლების აღსადგენად მიმართავდნენ ისეთ ზომებს, როგორიცაა: ღარიბების მოპატიჟება-დათრობა, ალმასკომის თავმჯდომარის და საარჩევნო კომისიების ცალკე წევრების განსაკუთრებული მომსახურება, ინტრიგის მოწყობა კომუნისტებს შორის. სოფ. ალახაძეში (აფხაზეთი) საარჩევნო უფლება ჩამოერთვა საარჩევნო კანონის მიხედვით 90 პლანტატორს. მათ პროტესტი გამოაცხადეს, ვინაიდან ეს საშუალებას ართმევდა მათ მიეღოთ სესხი თუთუნის კოოპერატივიდან და აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციიდან. ამ კულაკებმა მოახერხეს შეკრებილი გლეხების (60 კაცი) მიმხრობა და 90 კაციდან ყველამ აღიდგინა ხმის უფლება გარდა ხუთისა.

კულაკები წარსულ არჩევნებში აგრეთვე სხვადასხვა ხრიკებით ცდილობდნენ დაემალათ თავიანთი ნამდვილი ეკონომიური მდგომარეობა, რომ საარჩევნო უფლება არ წართმეოდათ. მაგ., დუშეთის მაზ. იყო შემთხვევები, რომ კულაკები დაქირავებულ მოჯამაგირეებს უჩვენებდნენ როგორც ნათესავებს, ზოგან კი. არჩევნების პერიოდში ითხოვდნენ დაქირავებულებს, თელავის მაზრაში ისინი აჩერებდნენ წისქვილებს არჩევნების პერიოდში და ითხოვდნენ მოჯამაგირეებს. მსგავსი მაგალითები იყო სხვა მაზრებშიაც, მომავალ არჩევნებში, როცა მოსალოდნელია გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა, კულაკებმა შეიძლება განიმეორონ და უფრო გააძლიერონ ასეთი ცდები მშრომელ გლეხობაზე და მისი საშუალებით საარჩევნო კამპანიაზე გავლენის მოსახდენად. აი რას უნდა მიექცეს პარტორგანიზაციების მხრივ მთავარი ყურადღება. საჭიროა საარჩევნო კამპანიის დროს განსაკუთრებით გაცხოველებულ იქნას ღარიბთა ჯგუფების მუშაობა, ხოლო სადაც ასეთი ჯგუფები ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის, აუცილებლად უნდა შეიქმნას უახლოეს კვირეებში. ღარიბთა ჯგუფები საბჭოებთან თვალყურს უნდა ადევნებდნენ საარჩევნო ინსტრუქციის შეფარდებას ამომრჩეველთა ცალკე კატეგორიების მიმართ და განსაკუთრებით „შავ სიების“ სისწორით შედგენას, ღარიბთა ჯგუფების მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნას მოჯამაგირეთა აქტივი. არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში ადგილებზე აუცილებლად უნდა ჩავატაროთ ღარიბთა ჯგუფების თათბირები და სამაზრო კონფერენციები, სადაც ეს მოსახერხებელია ამ თათბირებსა თუ კონფერენციებზე გაშუქებული იქნება საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური ამოცანები და დამუშავდება ღონისძიებანი საარჩევნო კამპანიაში ღარიბი გლეხობის აქტიური ჩაბმისათვის, ღარიბ-საშუალო გლეხობის ბლოკის შექმნისათვის და სხვ. უნდა გვახსოვდეს ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მიმართვა საბჭოთა საარჩევნო კამპანიის გამო (იხ. „კომუნისტი № 1806), სადაც ნათქვამია: „ვითვალისწინებთ რა განვლილ არჩევნების გამოცდილებას და აგრეთვე კულაკების კლასობრივ შეკავშირებას, პარტიის ძირითადი ამოცანა საბჭოების მომავალ არჩევნებში არის ღარიბთა და მოჯამაგირეთა შეკავშირება, მათი აქტივობის გაძლიერება და უკანასკნელთა კავშირის დაპირისპირება,—საშუალო გლეხკაცობასთან კავშირით,—კულაკების წინააღმდეგ“.

პარტიულ ხელმძღვანელობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს ქალთა სადელეგატო კრებების აქტიურად ჩაბმა საარჩევნო კამპანიაში და მუშა, მოჯამაგირე და გლეხქალთა უფრო ენერგიული დაწინაურება საბჭოთა მუშაობაში.

ქალთა მასები ფართედ უნდა იქნან მიზიდულნი საბჭოთა საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე. გასულ არჩევნებში გლეხ-ქალთა მონაწილეობა შედარებით თვალსაჩინო იყო. საარჩევნო კრებებზე დამსწრეთა შორის ქალთა მონაწილეობა გამოიხატებოდა 36,4 პროც. საჭიროა მოსამზადებელ პერიოდში გამოვაცოცხლოთ სადელეგატო კრებები და ჩავატაროთ ქალთა აქტივის სათემო თათბირები და სამაზრო კონფერენციები. ამის შესახებ საქართველოს ცაკმა უკვე მისცა წინადადება სამაზრო ალმასკომებს და ზოგიერთ ჩამორჩენილ მაზრებს (7 მაზრა) მისცა საჭირო თანხაც ქალთა სამაზრო კონფერენციების ჩასატარებლად.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელში უნდა აიღონ ხელმძღვანელობა და ჩაატარონ სათანადო მუშაობა ამ მოსამზადებელ პერიოდში, რათა ამით უზრუნველვყოთ ქალთა ფართე მასების ჩაბმა თვით არჩევნებში.

საარჩევნო კამპანიის მეორე პერიოდი შეიცავს საბჭოების ანგარიშებას. საბჭოების ანგარიშების განხილვა უნდა ჩაითვალოს ცენტრალურ მომენტად მთელს კამპანიაში. საბჭოთა მუშაობის წარმატება პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ყურადღებით ეპყრობა მას ამომრჩეველი მასა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოხსენება შეიცავდეს საბჭოს მოღვაწეობის ნამდვილი სურათს. საბჭოთა ანგარიშების განხილვაში ჩაბმულ უნდა იქნას ამომრჩეველთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამომრჩეველთა მიერ საბჭოთა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ნაკლოვანებათა, აგრეთვე საბჭოთა მუშაობის ცალკე დარგების ხელმძღვანელთა მუშაობაში შენიშნული შეცდომების საქმიანი კრიტიკა საბჭოთა დემოკრატიის საფუძველზე.

ანტისაბჭოთა ელემენტები შეეცდებიან კრიტიკის უფლება გამოიყენონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ პარტიული ორგანიზაცია არ უნდა დააფრთხოს ასეთ შესაძლებლობამ, თვითკრიტიკის იარაღი მან უნდა ეპყრას ხელში. კომუნისტი უნდა იყოს პირველი მამხილებელი საბჭოთა მუშაობის შეცდომებისა და ნაკლოვანებისა. პარტიულ უჯრედმა სწორედ თვითკრიტიკის ნამდვილად განხორციელების გზით უნდა შეაკავშიროს მოჯამაგირეები და ღარიბ-საშუალო გლეხობა და ფარდა ახადოს კულაკური კრიტიკის კონტრ-რევოლიუციონურ შინაარსს.

საბჭოთა საანგარიშო კამპანია უნდა ჩატარდეს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების, გაიაფების და გამარტივების, აგრეთვე სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის კულტურული რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მორიგი სამეურნეო-კულტურ. და პოლიტიკური ამოცანების განხორციელების ნიშნით. უნდა მოვახერხოთ „საბჭოთა საქმიანობის „წვრილმანების“ სოციალისტურ მშენებლობის საერთო ამოცანებთან დაკავშირება.

იმ ღონისძიებათა წარმატებით ჩასატარებლად, რომლებიც გათვალისწინებულია არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში, საჭიროა ეხლავე ჩაბმულ იქნან მუშაობაში ყველა ადგილობრივი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციები, და ეს პერიოდულად უნდა შევამოწმოთ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ უკვე განიხილა ამ ორგანიზაციების ცენტრალურ ორგანოების გეგმა, დაამტკიცა და წინადადება მისცა მათ გაუგზავნონ ადგილებს საჭირო მითითებანი. ადგილობრივ პარტორგანიზაციების მოვალეობაა თვალყური ადევნონ ამ გეგმების გატარებას ცხოვრებაში.

საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობისათვის საჭიროა ეხლავე თემსაბჭოებთან მიმაგრებულ იქნან მაზრის პასუხისმგებელი მუშაკები. ამ მიმაგრებულთა შერჩევას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. წარსული საარჩევნო კამპანიის დროს იყო შემთხვევები, რომ თემებში არჩევნების ხელმძღვანელობისათვის იგზავნებოდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკურ მომზადებას და კარგად თვითონ ვერ ერკვეოდნენ პარტიის პოლიტიკის მიმდინარე ამოცანებში. ზოგიერთ მაზრებში (სიღნაღის და სხვ.) მიმაგრებულ მუშაკების ნაწილმა სრული უმოქმედობა გამოიჩინა. ასეთი მოვლენის განმეორება დაუშვებელია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბრძოლის სიმძიმე საარჩევნო კრებებზე ბევრად აწევება მიმაგრებულ ამხანაგებს. არჩევნების შედეგები ყოველ ცალკე შემთხვევაში საგრძნობლადაა დამოკიდებული მათს მოხერხებულ ხელმძღვანელობაზე.

დ. ქუჩულორია.

გლეხკომები და საბჭოების გადარჩევა

საბჭოების ეხლანდელ საარჩევნო კამპანიაში სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებმა თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშონ. გასულ კამპანიებში ისინი ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას: პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ხელს უწყობდნენ საორგანიზაციო მუშაობაში, როგორიცაა: საზოგადო კრებების ჩატარება, კანდიდატურების შერჩევა და სხვა, და ბრძოლას აწარმოებდნენ კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ. წელს მათ უფრო უნდა გააძლიერონ ამ მიმართულებით მუშაობა.

გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებები—ფართო საზოგადოებრივი სკოლები არიან, რომლებიც სოფლად ამზადებენ მუშაკების ახალ კადრებს. შეიძლება მოყვანილი იქნეს მთელი რიგი მაგალითები, როდესაც გლეხკომების მუშაკებს აყენებდნენ საპასუხისმგებლო ადგილებზე.

მიმდინარე კამპანიის დროს გლეხკომებმა უნდა მოამზადონ ასეთი აქტივი.

გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებმა უნდა მოახდინონ თავიანთი წევრების მობილიზაცია, უმთავრესად ღარიბებიდან და მოჯამაგირეებიდან, ღარიბთა კრებების საშუალებით, და დაუკავშირონ ისინი საშუალო გლეხობას.

მათ რიცხვიდან წამოყენებული უნდა იყვნენ საუკეთესო საზოგადოებრივი მუშაკები ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში. ნუ დავივიწყებთ, რომ საარჩევნო კომისიების შერჩევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. საარჩევნო კომისიების მთავარი მოვალეობა ამომრჩევლების კლასიური შემადგენლობის შერჩევა. გასულ კამპანიების დროს ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც არჩევნებში მონაწილეობის უფლებების არ მქონე პირები, საარჩევნო კომისიების სისუსტის გამო, ღებულობდნენ მონაწილეობას არჩევნებში და ზოგან საბჭოებშიაც კი გადიოდნენ. წელს ასეთ მოვლენებს ადგილი არ უნდა დაურჩეს. ამ მხრივ გლეხკომებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ.

გლეხკომებმა თავიანთ აქტივთან ერთად წევრებს შორის უნდა ჩაატარონ ფართო მუშაობა მასებისათვის კამპანიის მნიშვნელობის და მიზნების გასაცნობად, წევრთა საერთო კრებებზე და ღარიბთა კრებებზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გლეხკომებმა საბჭოების საანგარიშო კამპანიის ჩატარებას, რომლის დროს ფართოდ უნდა იქნეს გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაბედულად უნდა ხდებოდეს მუშაობის შეფასება და ნაკლზე მითითება, რომ მომავალში ეს ნაკლი იქნეს ადვილად გამოსწორებული.

გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოების მხრივ გლეხკომების ხელმძღვანელობის საქმეს და დახმარების გაწევას. უნდა აღინიშნოს ყველა ის ნაკლი, რომელსაც ადგილი ექნება ამ შემთხვევაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გლეხკომების აქტივმა შესაფერი ერთსულოვანი პასუხი უნდა გასცეს ყველა მავნე ანტისაბჭოთა ელემენტების გამოსვლას, რომლებიც მოისურვებენ თვითკრიტიკის დროშის ქვეშ ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას.

თავის გაფართოებულ სხდომებზე აქტივთან ერთად გლეხკომებმა უნდა მოისმინონ მათ მიერ საბჭოებში წამოყენებულ პირების საანგარიშო მოხსენება გაწეულ მუშაობის შესახებ; უკანასკნელის კრიტიკული შეფასება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების აღნიშვნით, ხელს შეუწყობს მოჯამაგირეთა და ღარიბთა აქტივის აღზრდას.

საბჭოების ახალ შემადგენლობაში კანდიდატების წამოყენების საკითხს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან ახალი საბჭოების შესაფერ შემადგენლობაზე იქნება დამოკიდებული პარტიის და ხელისუფლების დირექტივების სწორად გატარება და მასთან ერთად გლეხკომების მუშაობის სწორი ხელმძღვანელობა. ამიტომ გლეხკომებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კანდიდატების შერჩევაში და ასეთებად წამოყენებული უნდა იქნენ უმთავრესად მოჯამაგირეთა და ღარიბთა აქტივის წარმომადგენლები.

საბჭოების გამოცოცხლებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მათში გლეხ ქალების ჩაბმას. გლეხკომების მიერ წამოყენებულ კანდიდატთა რიცხვში უნდა იყვნენ გლეხ ქალები, რომლებიც მოსახლეობაში სარგებლობენ სათანადო ავტორიტეტით, მოჯამაგირე და ღარიბი ქალები აგრეთვე საშუალო შეძლების მოწინავე ქალები.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სხვა ორგანიზაციებთან ერთად გლეხკომები შესძლებენ იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც ამჟამად დასმულია ჩვენს წინაშე საბჭოების არჩევნების კამპანიასთან დაკავშირებით.

კ. ხომერიკი.

პროფკავშირების მონაწილეობა არჩევნებში

საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებასთან შესდგა კავშირების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი საბჭოების გადარჩევის კამპანიაში პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ.

თათბირმა დაადგინა მიღებული იქნეს ზომები, რათა საკავშირო მასა მთლიანად ჩაბმულ იქნეს საბჭოების გადარჩევის კამპანიაში.

12 დეკემბერს მოწვეულ იქნეს პროფაქტივის საერთო საქალაქო კონფერენცია საბჭოების გადარჩევის შესახებ მოხსენების მოსასმენად.

ცალკე კავშირებმა თავისი ხაზით მოიწვიონ აქტივის კრებები კამპანიაში მონაწილეობის კონკრეტული გეგმის დასამუშავებლად და ინსტრუქციების მისაცემად.

კავშირებმა მიიღონ ზომები, რათა წარმოება-დაწესებულებების საარჩევნო კომისიებში არჩეულ იქნენ აქტიური მომუშავენი.

მიღებულ იქნეს ზომები, რათა სარაიონო საარჩევნო კომისიაში შედიოდეს კავშირის წარმომადგენელი.

საბჭოების გადარჩევის მნიშვნელობა და მსვლელობა ფართოდ გაშუქდეს კედლის გაზეთში.

საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ ამხანაგები, რომელნიც არ არიან სხვა სამუშაოებით დატვირთულნი და ექნებათ თავისუფალი დრო საბჭოში სამუშაოდ.

მიწა-ტყის, საბჭოთა მუშაკების, მედსანშრომის და ხის დამმუშავებელთა კავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლად კავშირის წევრების ფართოდ ჩაბმას საბჭოების გადარჩევაში.

უმუშევარ წევრთა სიები კავშირებმა შეადგინონ 15 დეკემბრამდე. კავშირებმა მიიღონ ზომები, რათა ყველა უმუშევრები და მათი ოჯახის წევრები იქნენ აღრიცხული.

ჭიათურა

საუბარი ამხ. ა. სვანიძესთან

(ტელეგრაფით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჭიათურა, 5 დეკემბერი. თქვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. სვანიძემ სთქვა:

მთავრობის კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოკვლევა იმისა, თუ რა გზით შეიძლება ჭიათურის შავი ქვის ექსპორტის გაძლიერება, დაამთავრა მუშაობა და დღეს მიემგზავრება თბილისში თავისი დასკვნების წარსადგენათ მთავრობისათვის.

კომისია დაწვრილებით გაეცნო ჭიათურის მრეწველობას, შავი ქვის ამოღების ტეხნიკას და გადაზიდვას, ფოთის ნავთსადგურის მდგომარეობას.

ჩემის აზრით, ჭიათურის მრეწველობა სავსებით შეასრულებს დასახულ გეგმას და დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რომელსაც მას უდგენს მსოფლიო ბაზარი. ექსპორტის გაძლიერებისათვის საჭიროა შავი ქვის ამოღების და დამუშავების ტეხნიკის გაუმჯობესება, მაღაროებისათვის გაუმჯობესებული იარაღ მანქანების მიწოდება, გზების გაფართოება, ტრანსპორტის გაუმჯობესება, ქარხნების ელექტროფიკაცია, მადნის სარეცხი ქარხნების გადაკეთება. ეს მოითხოვს დროს და მნიშვნელოვან თანხების დახარჯვას.

საკავშირო და საქართველოს მთავრობები დიდ ყურადღებას აქცევენ შავი ქვის ექსპორტის გაძლიერებას, მიიღებენ ზომებს წარმოების უზრუნველ საყოფად მასალით, იარაღით, ხელსაწყოებით. ჭიათურა უზრუნველყოფილი იქნება სურსათ-სანოვაგით, ფურაჟით.

რაც შეეხება შავი ქვის რეალიზაციას ჭიათურას აქვს ბაზარი ევროპაში, ამერიკაში. შავი ქვა გასაღდება დაუბრკოლებლად. დადებულია ხელშეკრულება ამერიკის, გერმანიის და პოლონეთის ფირმებთან. შავი ქვის ბაზარი კიდევ უფრო გაფართოვდება, მოთხოვნილება უფრო გაიზრდება, რადგან ჭიათურის შავი ქვა საუკეთესო ღირსებისაა. ექსპორტის გადიდებისათვის საჭიროა ჭიათურის მუშათა ფართე მასების ენერგიული, ყოველმხრივი დახმარება, ხელის შეწყობა. დარწმუნებული ვარ, რომ ჭიათურის მუშათა კლასი არ დაზოგავს ძალას და ღონეს, დაეხმარება მთავრობას გეგმის შესრულებაში, შეუწყობს ხელს ქვეყნის განვითარებას.

მარცხნიდან მარჯვნივ: სვანიძე, მოდებაძე, ინჟ. ალშიბია, ყურულაშვილი, არალოვი, პანემუნსკი.

მთავრობის კომისიის გამგზავრება

მთავრობის კომისია: ამხ. არალოვის, სვანიძის, პონემუნსკის და ჭიათურის შავი ქვის ტრესტის თავმჯდომარის კ. მოდებაძის შემადგენლობით დღეს საღამოს გაემგზავრა თბილისში.

ჭიათურის პარტიული და პროფაქტივის გაერთიანებული კრება

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ამხ. არალოვის, სვანიძის და გ. ყურულაშვილის სიტყვები.—მთავრობა მიიღებს, ზომებს რომ უზრუნველყოფილი იქნას ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის შეუფერხებელი განვითარება და ექსპორტის გაფართოება. — ჭიათურის მუშები დაპირებას იძლევიან, რომ უკეთ მოუვლიან შავი ქვის მრეწველობას, ვიდრე კერძო მრეწველები და კონცესიონერი.

4 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ჭიათურის ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა სამრეწველო რაიონის პარტიულ და პროფაქტივის გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა მთავრობის კომისიის წევრების ამხ. **არალოვის** და **სვანიძის** საინფორმაციო მოხსენებები ჭიათურის მრეწველობის მდგომარეობისა და შავი ქვის ექსპორტის გაძლიერების შესახებ.

ამხ. **არალოვმა** თათბირს გადასცა საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სალამი. შემდეგ მან სთქვა, რომ საკავშირო მთავრობამ მიზნად დაისახა შავი ქვის ექსპორტის გაძლიერება, რათა ამით დაჩქარებულ იქნეს ჩვენი ქვეყნის მშენებლობა, მანქანების შემოზიდვა უცხოეთიდან და სხვა.

კონცესიონერის დროს, — ამბობს ამხ. არალოვი,—მუშაობა სუსტად მიმდინარეობდა. ამერიკელები ვერ მუშაობდენ შესაფერად, ამიტომ ჭიათურის მაღაროები განადგურდა. ეხლა ჭიათურის მრეწველობას სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ტრესტი და საჭიროა, რომ ეს ტრესტი გავაძლიეროთ და დავიპყრათ ახალი ბაზრები შავი ქვისათვის.

შემდეგ ამხ. არალოვი შეეხო შავი ქვის წარმოების გაფართოებას და აღნიშნა, რომ მთავრობა მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა ჭიათურა იქნეს უზრუნველყოფილი ყველაფრით, რაც კი საჭიროა წარმოების გაფართოება-აღდგენისათვის. მიღებულ იქნება ზომები მაღაროების ელექტროფიკაციისათვის, წარმოების უზრუნველსაყოფად მანქანებით, მოწყობილობით და სხვ.

საჭიროა მუშათა ფართე მასების ენერგიული მუშაობა და დახმარება, რომ შეიქნეს მძლავრი შავი ქვის ტრესტი.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. **სვანიძე.** იგი ეხება შავი ქვის მნიშვნელობას ფოლადის წარმოების საქმეში, ჭიათურის შავი ქვის მადნების უპირატესობას სხვა ქვეყნების მადნების წინაშე და სხვ. ამხ. სვანიძე აღნიშნავს, რომ კონცესიონერმა ჰარიმანმა საქმე ვერ წაიყვანა წესიერად და მიატოვა ჭიათურა. საბჭოთა ხელისუფ. მოჰკიდა ხელი ჭიათურის შავი ქვის ამოღება-დამუშავებას. მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს შავი ქვის ექსპორტს და ეს საქმე წესიერად იქნება დაყენებული.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შავი ქვის რეალიზაციას. ის გეგმა, რომელიც არის დასახული მთავრობის მიერ, სავსებით უნდა იქნეს შესრულებული ჭიათურის შავ ქვას უკვე აქვს ბაზარი. დადებულია ხელშეკრულება ამერიკის, გერმანიის და პოლონეთის მრავალ ფირმებთან.

დღევანდელი დღის ამოცანაა—შავი ქვის ამოღების გაძლიერება და აქეთკენ უნდა იქნეს მიპყრობილი მთელი ყურადღება.

საკავშირო და საქართველოს მთავრობა მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა ჭიათურა უზრუნველყოფილ იქნეს ყველაფრით, რაც კი საჭიროა მუშაობისათვის. ჭიათურა მიიღებს საკმაო სურსათ-სანოვაგეს, მიღებული იქნება ზომები წარმოების უზრუნველსაყოფად მანქანებით და ხელსაწყოებით.

მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მადნის ამოღების გაძლიერება. ყოველმა ამხანაგმა უნდა იზრუნოს წარმოების გადიდებისათვის.

ტეხნიკურმა კომისიამ, — დასძინა ამხ. სვანიძემ, — შეადგინა ჭიათურის მრეწველობის, აღორძინების გეგმა და ეს გეგმა განხორციელებული იქნება.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მუშები: ამხ. **ასანიძე, ბრეგვაძე, ცუცქირიძე, ლომიძე, ბაბარაშვილი** და სხვები. მათ ილაპარაკეს წარმოების გაძლიერებაზე, შავი ქვის ამოღება - გაზიდვის გაფართოებაზე. მათ აღნიშნეს, რომ ჭიათურის მუშები პირნათლად შეასრულებენ მთავრობის დავალებას, გაასკეცებენ ენერგიას, დაანახვებენ მთელ ქვეყანას, რომ მუშათა კლასი უფრო უკეთესად მოუვლის ჭიათურის მაღაროებს, ვიდრე კერძო მრეწველები და კონცესიონერები.

შემდეგ სიტყვას ამბობს საქ. ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გ. ყურულაშვილი.**

ის იმედს გამოსთქვამს, რომ ჭიათურის მუშათა კლასი მიიღებს ზომებს, რათა ჭიათურის მრეწველობა გაძლიერდეს და გაფართოვდეს. მთავრობა კი თავის მხრივ მიიღებს ზომებს, რომ ჭიათურა იქნეს უზრუნველყოფილი სურსათ - სანოვაგით და მანქანებით.

საჭიროა, — ამბობს ამხ. ყურულაშვილი, — მეტი ენერგია, წინდახედულობა და გამბედაობა, რომ მიზანი მიღწეულ იქნეს. ამასთანავე ყველამ უნდა შეიგნოს, რომ მომავალ მუშაობის დროს ადგილი ექნება ზოგიერთ დაბრკოლებებს და საჭიროა ერთსულოვანი მუშაობა ამ დაბრკოლებათა გადასალახავად.

საბოლოო სიტყვაში ამხ. **სვანიძემ** განაცხადა, რომ კომისია კმაყოფილია იმ აზრთა გაცვლა-გამოცვლით, რომელსაც ქონდა ადგილი კრებაზე. ჭიათურას მიქცეული აქვს დიდი ყურადღება. მთავრობა შეასრულებს თავის დაპირებას და მიაწოდებს ჭიათურას ყველა საჭირო საგნებს — სურსათს და მოწყობილობას.

კომისია დარწმუნებულია, რომ ჭიათურა გაიტანს საზღვარ გარედ შავი ქვის იმ რაოდენობას, რომელიც დასახულია პროგრამით.

მე გადავცემ ჩვენ მთავრობას, ამბობს ამხ. სვანიძე, რომ ჭიათურის მუშები მზად არიან ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი ჩვენი ქვეყნის აღორძინებას.

ამხ. **არალოვის** სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჭიათურის სამრეწველო რაიონის პარტიული და პროფაქტივი ყოველმხრივ დაეხმარება მთავრობას ჭიათურის მრეწველობის აღდგენაში და შავი ქვის ექსპორტის გაძლიერებაში.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა, 5 დეკემბერი.

მუშ-გლეხკორთა მეოთხე საკავშირო თათბირი

(წერილი მოსკოვიდან)

ამხ. ფრუნზეს სახელობის წითელი არმიის სახლში ერთი კვირაა გაცხოველებული სამზადისი მიმდინარეობს მუშგლეხკორთა მე-4 საკავშირო თათბირისათვის. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან აქ თავს იყრიან მუშგლეხკორთა დიდი არმიის წარმომადგენლები. აქ ნახავთ შორეულ აღმოსავლეთიდან მოსულ დელეგატებს: კირგიზებს, ბაშკირებს, ვლადივასტოკელებს და სხვებს. საქართველოდან თათბირს ესწრება 8 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და გაზეთების სამი წარმომადგენელი.

საორგანიზაციო კომისიის წევრები ენერგიულად მუშაობენ. დელეგატები ავსებენ ანკეტებს, იღებენ მანდატებს თათბირზე მონაწილეობისათვის, ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს, ეწერებიან ლექციებზე. ყველა ჩამოსულ დელეგატს, რომლებიც გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობენ, მიეცათ ბინა, კმაყოფა და ტრამვაით უფასოდ მგზავრობის უფლება.

გარდა მუშგლეხკორებისა თათბირს ბლომად ესწრებიან პრესის წარმომადგენლებიც. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გაზეთების წარმომადგენლებია ჩამოსული თათბირზე მონაწილეობის მისაღებად.

სახლის ერთ-ერთ დარბაზში მოწყობილია გამოფენა კედლის გაზეთების, კარიკატურების და მოსკოვის გაზეთების მიღწევების დიაგრამები მუშგლეხკორთა შორის მუშაობის მიღწევების შესახებ. გამოფენაზე ერთ-ერთი კუთხე უჭირავს უცხოეთის კედლის გაზეთებს. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ნაციონალური რესპუბლიკების კედლის გაზეთების კუთხესაც. აქვე გამოფენილია ქუთაისელ რკინისგზელების კედლის გაზეთის სამი ნომერი.

თათბირს ესწრებიან **გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის და ნორვეგიის** მუშა-კორესპონდენტების წარმომადგენლები.

28 ნოემბერს უკვე ნაშუადღევიდან წითელი არმიის სახლის ვეებერთელა დარბაზებში არაჩვეულებრივი მოძრაობაა, საღამოს 6 საათზე აქ უნდა გაიხსნას მუშგლეხკორთა მე-4 საკავშირო თათბირი, დელეგატები რიგ-რიგობით იკავებენ თავიანთ ადგილებს.

სხდომის დარბაზში **მ. ი. ულიანოვას** შემოსვლას დელეგატები ერთსულოვანი ოვაციით შეხვდა. ამხ. ულიანოვა თათბირს გახსნილად აცხადებს და დელეგატებს მიმართავს შემდეგი სიტყვით:

ამხანაგებო! მუშგლეხკორთა მე-4-ე საკავშირო თათბირს პირველად ესწრეა კაპიტალისტური ქვეყნების მუშკორები. ამ ქვეყნებში ამჟამად იზრდება და ვითარდება მუშკორთა მოძრაობა. საერთაშორისო მუშკორთა კავშირი უკვე დამყარებულია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა ომის საფრთხე თანდათანობით ძლიერდება. საბჭოთა კავშირის მუშგლეხკორების დაკავშირება კაპიტალისტური ქვეყნების მუშკორებთან საშუალებას მოგვცემს უფრო ენერგიულად ვებრძოლოთ იმ ჭორებს, რომელთაც საზღვარგარეთ ავრცელებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს კავშირი საშუალებას მოგვცემს შევიძინოთ საბჭოთა კავშირის მეტი მეგობრები, ეს ხელს შეუწყობს მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას.

ჩვენი ქვეყანა ამჟამად სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდშია. მუშგლეხკორები უმნიშვნელოვანესი და საძნელო ამოცანების განხორციელების საქმეში მოწინავე პოზიციებზე უნდა იყვნენ. ამასთან ერთად მუშგლეხკორები მოწინავე პოზიციებზე უნდა იყვნენ იმ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ ჩვენი კლასიური მტრის წინააღმდეგ, რომელიც ძალიან ხშირად ქვეყნის შიგნით მალულ ფორმებში გვევლინება და ეწევა მუშაობას კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

მე-4 საკავშირო თათბირის მონაწილე მუშგლეხკორთა მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა უნდა გამოიჩინონ საქმიანობის და აქტივობის მაქსიმუმი ყველა იმ მნიშვნელოვანი ამოცანების განსახილველად, რომელიც სდგას მუშგლეხკორთა მოძრაობის წინაშე უახლოესი პერიოდის განმავლობაში. ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ მთელი რიგი ღონისძიებები, რათა მუშგლეხკორთა მოძრაობა გადავაქციოთ მასიურ მოძრაობად. დიდი ენერგიის და აქტივობის გამოჩენას მოითხოვს აგრეთვე ჩვენგან იმ სიძნელეების გადალახვა, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე საბჭოთა კავშირის მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანებთან დაკავშირებით.

ათეულმა მუშგლეხკორმა თავიანთი სიცოცხლე შესწირეს იმ აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას, რომელსაც ისინი ეწეოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში და სოფლად. რამოდენიმე კვირის წინად გარდაიცვალა საბჭოთა პრესის უდიდესი მუშაკი ამხ. **სკვორცოვ-სტეპანოვი.** (ამხ. ულიანოვა წინადადებას აძლევს ფეხზე ადგომით პატივი სცენ მის ხსოვნას. ყველანი დგებიან, ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს). მაგრამ ამ მებრძოლების მაგივრად ჩვენ მუშგლეხკორთა მოძრაობა გვაძლევს ახალ მებრძოლებს პრესის ფრონტზე. მუშგლეხკორთა არმიის წარმომადგენლები, რომლებიც ამ თათბირზე არიან შეკრებილნი ძირიანად განსხვავდებიან რუსული პრესის იმ კომედიანტებისაგან, რომლებიც ამას წინად მიიღო სამხრეთ-სლავიის მეფე ალექსანდრემ და ორდენებით დააჯილდოვა. საბჭოთა მუშგლეხკორები არ საჭიროებენ ასეთი სახის ჯილდოებს. მათთვის საუკეთესო ჯილდო იქნება პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ილიჩის ანდერძის მიმართ მთელ მსოფლიოში სოციალიზმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ამხ. ულიანოვას სიტყვის შემდეგ თათბირმა საქმიან პრეზიდიუმში აირჩია ამხ. **ბუხარინი, მ. ულიანოვა, კაგანოვიჩი, იაროსლავსკი, კრინიცკი, იზგულოვი, ფელიკს კონი, დემიან ბედნი,** უცხოეთის მუკორთა დელეგაციების წარმომადგენლები და სხვ. **საქართველოდან პრეზიდიუმის წევრად არჩეულია დელეგატი გლეხკორი ამხ. ალექსი ძამაშვილი.**

თათბირმა აირჩია კომისია და მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი და პრესის ამოცანები. მომხსენებელი ბუხარინი; 2) მუშგლეხკორტივები და ჟურნალ „მუშათა და გლეხთა კორესპონდენტის“ რედაქციის ანგარიში. მომხს. ამხ. მ. ი. ულიანოვა, 3) სექციებისა და კომისიების დებულებების დამტკიცება და 4) ჟურნალ „მუშათა და გლეხთა კორესპონდენტის“ სარედაქციო კოლეგიის არჩევა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ბუხარინმა,** რომელიც ამასთანავე ცეკას სახელით მიესალმა თათბირს. მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. ბუხარინი შეეხო საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობას, ომის საფრთხეს, განიარაღების საკითხს, იმპერიალისტური ქვეყნების შეიარაღებას და შემდეგ ვრცლად შეჩერდა საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობაზე, მის მიღწევებზე სოციალისტური მშენებლობის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სასოფლო მეურნეობის განვითარების და კულტურული რევოლიუციის ფრონტზე. ყველა ამ საკითხებთან დაკავშირებით მომხსენებელი შეეხო იმ სიძნელეებს, რომლებიც წინ ეღობება საბჭოთა ხელისუფლებას სოციალისტურ მშენებლობის დროს და განმარტა პრესის და მუშგლეხკორების როლი ამ ამოცანის განხორციელების საქმეში.

ამხ. ბუხარინის მოხსენების შემდეგ თათბირს მისასალმებელი სიტყვით მიმართა კომინტერნის წარმომადგენელმა ამხ. **ტომ ბელლმა.** თათბირს მიესალმენ გერმანიის, საფრანგეთის და ჩეხოსლოვაკიის მუშკორთა დელეგაციების წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მუშკორები დიდად არიან დაინტერესებული მჭიდროდ დაუკავშირდნენ საბჭოთა კავშირის მუშგლეხკორთა მოძრაობას და ჩვენი აქ გამოგზავნის მიზანიც ამ ამოცანის განხორციელებაში გამოიხატება.

თათბირმა დაადგინა მისალმოს საკავშირო კომპარტიის ცეკას, კომინტერნის აღმასკომს, საბჭ. კავშირის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს, წითელ არმიას, „პრავდას“ და ჟურნალ „მუშათა და გლეხთა კორესპონდენტის“ რედაქციებს. თათბირმა აირჩია დელეგაცია ამჟამად მიმდინარე ცაკის სესიისათვის მისასალმებლად.

ამის შემდეგ დამთავრდა თათბირის პირველი სხდომა.

ხვალ დილიდან შესდგება თათბირის სხდომები, ხოლო საღამოთი იმუშავებენ სექციები და კომისიები.

ს. ელიაძე.

მოსკოვი, 1 დეკემბერი.

წარმოების მტკივნეული საკითხები

თბილისის ორთქლმავალების და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის პრაქტიკანტებს აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა. —ადგილობრივი ადმინისტრაცია პრაქტიკანტ ტეხნიკოსებს შავ სამუშაოზე ამუშავებს. — პრაქტიკანტების აბუჩად აგდებას საწარმოებში ბოლო არ ელება.—დავაჩქაროთ საუტილიზაციო ქარხნის აგება თბილისში.

როგორ „ეხმარებიან“ მომავალ სპეცებს

(ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა)

თბილისის ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში მუშაობს ორმოცამდე პრაქტიკანტი, რომლებიც გამოგზავნილი არიან: ბათომის, ფოთის, ხონის და თბილისის ტეხნიკუმებიდან. პრაქტიკანტების მდგომარეობა აუტანელია. არც ადმინისტრაცია, და შეიძლება ითქვას, არც პროფკავშირი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ პრაქტიკანტების მუშაობას და არც უწევენ მათ სათანადო დახმარებას პრაქტიკის მიღებაში.

განათლების კომისარიატთან არსებულ სტაჟისა და პრაქტიკის განმანაწილებელ კომისიის დადგენილების თანახმად, აღნიშნული მოწაფეები გაგზავნილი იყვნენ 6-თვიან პრაქტიკაზე, რის შემდეგ უნდა გადასულიყვნენ რკინის გზის დეპოებში სტაჟიორებად. მაგრამ მათ ისეთ პირობებში უხდებათ მუშაობა, რომ 6 თვე კი არა, 6 წელიწადი, რომ იყვნენ პრაქტიკაზე, მაინც ვერაფერს შეისწავლიან და რაც იციან იმასაც დაივიწყებენ. პრაქტიკანტებს არა ყავთ ისეთი ტეხნიკური ხელმძღვანელი, რომელიც მუშაობის დროს პრაქტიკანტს მისცემს სწორ ახსნა-განმარტებას და გაუწევს სათანადო ხელმძღვანელობას. რაც შეეხება სამუშაოს, ან სულ არა აქვთ და თუ აქვთ ისიც შავი სამუშაო. ისე, რომ პრაქტიკის მისაღებად ადმინისტრაცია არაფერ საქმეს არ აძლევს პრაქტიკანტებს.

ასევე უყურადღებოდ არიან მიტოვებული პრაქტიკანტები ადგილობრივ პროფუჯრედის მიერ. უკანასკნელი, არამც თუ ეხმარება პრაქტიკანტებს მუშაობაში, არამედ მათი კრების დადგენილებებსაც კი არ აქცევს ყურადღებას და არ ღებულობს ზომებს პრაქტიკანტების პირობების გასაუმჯობესებლად. თანახმად არსებულ წესდებისა. თანახმად არსებულ წესებისა ორი თვის მუშაობის შემდეგ, მუშა ან მოსამსახურე მიღებული უნდა იქნეს კავშირში. პრაქტიკანტები კი უკვე მეხუთე თვეა რაც მუშაობენ, მიუხედავად ამისა ადგილკომი არ იღებს მათ კავშირში.

გარდა ამისა, პრაქტიკანტებს არა აქვთ საცხოვრებელი ბინა. ამის გამო ისინი დროებით ცხოვრობენ „დორპროფობრი“-ს მიერ მიცემულ ვაგონებში, მაგრამ არც აქ ასვენებენ მათ. რკ. გზის ადმინისტრაცია ყოველ დღე მოითხოვს ვაგონის განთავისუფლებას. უკანასკნელად, იმ მიზნით, რომ განთავისუფლებია პრაქტიკანტებს ვაგონი, ღამით 12 საათზე მოუბეს ორთქლმავალი და ნამძინარევი პრაქტიკანტები ჩაიყვანეს სადგურ ნავთლუღში.

ეს საკითხები განიხილა მოძრაობის ტეხნიკოსთა კრებამ და გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ადმინისტრაციასთან ერთად მოაგვაროს ყველაფერი და შეიმუშაოს ღონისძიებები პრაქტიკანტების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ადმინისტრაციამ არც ამ კომისიას მიაქცია ყურადღება, უკანასკნელად გამოირკვა, რომ ადმინისტრაცია აპირობს ამ პრაქტიკანტების მოხსნას [illegible] თანხების უქონლობის გამო.

ასეთ „ყურადღებას“ აქცევს ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის ადმინისტრაცია მომავალ სპეცებს.

ნ. მი—ლი.

მუშათა კლუბების მუშაობის შესახებ

საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე უკვე დაიწყო. ზოგიერთი პროფკავშირის ც. გამგეობებმა უკვე დაგზავნეს ცირკულიარები ადგილობრივ პროფუჯრედების მონაწილეობის შესახებ საბჭოთა არჩევნებში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუშათა კლუბები ამ მხრივ ჯერ-ჯერობით არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ. ასევე იყო გასულ არჩევნების დროსაც.

მომავალი არჩევნების დროს მუშათა კლუბებმა უნდა გააცხოველონ თავიანთი მუშაობა და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა არჩევნებში. ამისათვის მუშათა კლუბების გამგეობებმა ამ თავითვე უნდა შეადგინონ საკლუბო მუშაობის გეგმა საბჭოთა არჩევნების დროს. გამგეობები უნდა შეეცადონ, რომ ამ მუშაობაში ჩააბან არა მარტო პროფკავშირის წევრები, არამედ კლუბის მახლობლად კერძო მცხოვრებლებიც. ამ მიზნით მუშათა კლუბებში დაუყონებლივ გამოკრული უნდა იქნეს დიაგრამები საბჭოთა აღმშენებლობის ნაკლისა და მიღწევების შესახებ. კლუბებმა უნდა აჩვენონ მასას მიღწევები; კოოპერაციის, სახალხო განათლების და საერთოდ სოციალისტურ მშენებლობის დარგში.

გარდა ამისა საბჭოთა არჩევნების კამპანიის ხანებში მუშათა კლუბებში ხშირად უნდა ეწყობოდეს საღამო-წარმოდგენები, სადაც ნაჩვენები უნდა იქნეს აუცილებლივ კლასთა ბრძოლის მომენტები. ამ დარგში მუშათა კლუბებმა უნდა გამოიყენონ სატირული წრეები და ცოცხალი გაზეთები. ცოცხალი გაზეთი, საუცხოო საშუალებაა არჩევნების დროს საგიტაციო და საპროპაგანდო მუშაობის ჩასატარებლად. ცოცხალი გაზეთის საშუალებით მუშათა კლუბებმა უნდა გააცნონ ფართო მასას საბჭოების მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანებანი და მიღწევები.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საბჭოთა არჩევნების კამპანიის ჩატარებაში მუშათა კლუბებთან კედლის გაზეთების გამოცემას. ამ გაზეთებში გაშუქებული უნდა იყოს, როგორც საბჭოების მუშაობა, ისე საბჭოს თითეული წევრის საქმიანობა და მისი ყოფა-ცხოვრებაც. კედ. გაზეთებში აღნიშნული უნდა იყოს ისიც, თუ სად და როდის გაიხსნა კოოპერატივი და როგორ მუშაობს იგი. სასურველია აგრეთვე მუშათა კლუბებთან საარჩევნო კამპანიის დროს განმავლობაში შემოღებული იქნეს ცნობათა მაგიდა, სადაც მუშას შეეძლება მიიღოს საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებული ყოველგვარი ცნობა.

დასასრულ მუშათა კლუბებმა უნდა ეცადონ, რომ ყოველი მუშა იცნობდეს არა მარტო საბჭოთა მშენებლობის ნაკლსა და მიღწევებს, არამედ იმ დაბრკოლებებსაც, რომელიც ეღობება წინ ამ მშენებლობას. ასეთი მუშაობით მუშათა კლუბები ორ საქმეს გააკეთებენ: ერთის მხრივ ხელს შეუწყობენ საარჩევნო კამპანიის მწყობრად ჩატარებას და მეორე მხრივ საკლუბო მუშაობაში ჩააბამენ მუშათა ფართო მასას.

ვ.

უპატრონო სკოლა

სკოლების ტეხნიკურად მოწყობას და მათ ბინების შეკეთება-გაფართოებას დღეს უდიდესი ყურადღება ექცევა. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი სკოლა, რომლის ტეხნიკურად მოწყობა და ბინის გაფართოება არავის აზრად არ მოსვლია. ასეთია მაგალითად პირველი პროფესიონალური სკოლა, რომელიც მდებარეობს გაბაშვილის შესახვევში № 3. სკოლა აუტანელ სივიწროვეს განიცდის ბინის მხრივ. ის მოთავსებულია ოთხ ოთახში, სასწავლებელში კი არის ექვსი ჯგუფი. მეცადინეობა ორ წყებად სწარმოებს, დილის რვა საათიდან ღამის 9 საათამდე. თითეულ წყებაში რვა-რვა გაკვეთილია. სკოლის ოთახები პატარა და ბნელია. კედლები დაბალი და იმდენად ნესტიანი, რომ წყალი გამოდის. დაზიანებულია კანალიზაცია, რის გამო საშინელი სუნი ტრიალებს სკოლაში. ასეთ ბინაში მეცადინეობა მოქმედებს მოწაფის ჯანმრთელობაზე. ეს რამოდენიმეჯერ აღინიშნა სკოლის ექიმმა და მოითხოვა ხსენებულ სასწავლებლის შესაფერ ბინაში გადატანა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

ასეთივე მდგომარეობაშია სკოლა სასწავლო ხელსაწყობების მხრივაც; სკოლას არა აქვს საშუალება მოაწყოს კაბინეტები და პრაქტიკული სამეცადინო ოთახები. უკანასკნელად ეს საკითხი იდგა თბ. საბჭოს განათლების სექციის სხდომაზე. რომელმაც სკოლის სასარგებლოდ გადასჭრა საკითხი. სექციის დადგენილება დაადასტურა თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა და სკოლას მიეცა ახალი ბინა, რომელიც მომარაგების განყოფილებას უნდა გაეთავისუფლებია, მაგრამ ეს საკითხი დღესაც არ არის მოგვარებული. მომარაგებას ჯერ კიდევ საღათას ძილით სძინავს. ის არ ფიქრობს ამ მხრივ ნაბიჯის გადადგმას.

სკოლის ეზოში განთავისუფლდა სამი ოთახი, რომელზედაც თავის დროზე აცნობეს მომარაგებას. მაგრამ აქაც ჩვეულებრივი გულგრილობა გამოიჩინეს, ოთახები დაკარგეს და საქმის მოგვარების საუკეთესო შემთხვევა გაუშვეს. მომარაგების განყოფილების ასეთი მუშაობით შორს ვერ წავალთ. საჭიროა მისი გამოცოცხლება და სკოლებისათვის ზრუნვა სათანადო ორგანომ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი.

მუშკორთა საყურადღებოდ

დღეს, 6 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენლის მოხსენება. ლიტერატურული წრის წევრების დასწრება აუცილებელია.

ბრძოლა ცრუ-კოოპერატივებთან

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება კოოპერატიულ ორგანიზაციებში მავნე გადახრებთან საბრძოლველად. დადგენილება შეიცავს სხვადასხვა ღონისძიებას, რომელთაც მიზნად აქვთ ცრუკოოპერატივების ლიკვიდაცია. დადგენილების თანახმად, ცრუკოოპერატივებად ითვლებიან ის კოოპერატივები, სადაც დამაარსებლებს შორისაც ირიცხებიან ისეთი პირები რომელთაც კანონით კოოპერატივის წევრობა აკრძალული აქვთ, აგრეთვე ისეთი კოოპერატივები, სადაც გავლენით სარგებლობენ სოციალისტური მშენებლობის ინტერესებისათვის მავნე ელემენტები, გამაჯანსაღებელი ღონისძიებები გამოყენებულ უნდა იქნან ისეთი კოოპერატივების მიმართ, სადაც წევრთა უმრავლესობას მშრომელები შეადგენენ. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს მართველი ორგანოების გადარჩევა, რევიზიები და საინსტრუქტორო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერება. ის ორგანიზაციები, რომელთა გაჯანსაღებაც შეუძლებელია, ჩამოთვლილი ზომებით, უსათუოდ დახურულ უნდა იქნან. რათა კოოპერატივები კერძო ელემენტებმა თავიანთ მიზნებისთვის არ გამოიყენონ, წინადადება ეძლევა კავშირებს—გააძლიერონ ღარიბის ჩაბმა კოოპერაციაში. მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობას წინადადება ეძლევათ — გააძლიერონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც ცრუ-კოოპერატივების ორგანიზატორები და ფაქტიური ხელმძღვანელები არიან (ადს).

რკინის გზეზე

კომისიის დაბრუნება

გუშინ მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა კომისია ამიერ-კავკ. რკ. გზების გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ვ. პ. პოზდეევის მეთაურობით.

კომისია მოსკოვში მონაწილეობას იღებდა ამიერ-კავკ. რკ. გზების 1928—29 წლის ბიუჯეტის განხილვაში.

გამოუყენებელი მასალები

ამიერ-კავკ. რკ. გზების მთავარ სამასალო საწყობში, როგორც გამოირკვა აწყვია — 1.164.305 მან. გამოუყენებელი მასალა.

გზის გამგეობის დადგენილებით ამ მასალების ნაწილი გაიყიდება.

შემთხვევები

პლეხანოვის პროსპექტზე მომხდარ კატასტროფის გარშემო

კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ კატასტროფა გამოიწვია შოფერის თანაშემწის—კონკავალენკოს მიერ ნორმალური მოძრაობის წესების დარღვევამ.

ამგვარად, საბოლოოდ დადასტურდა, რომ ამ კატასტროფაში ვატმანებს არავითარი ბრალი არ მიუძღვით. ამის გამო გამომძიებელმა ი. ადამიძემ ვატმანი სერგო ჯიქია და დიმიტრი სიდამონიძე გუშინ გაათავისუფლა პატიმრობიდან.

ხანძარი

გუშინ დილით, რუსთაველის პროსპექტზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 41. საჩქაროდ გამოიწვიეს სახანძრო რაზმი, რომელმაც ცეცხლი ჩააქრო 15 წუთის განმავლობაში.

—გუშინწინ ღამით, რტიშჩევის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 16. ხანძარი ჩააქრეს შინაური საშუალებით.

დაჯახება

4 დეკემბერს, საბარგო ავტომობილი № 383, რომელსაც მართავდა შოფერი არამ ნაფაროვი საბჭოთა ქ. დაეჯახა მოქ. სურენ ზაროზხანოვის ურემს. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. შოფერი ნაფაროვი დაპატიმრებულია.

მილიციელის დაჭრა

გუშინწინ ღამით, ვიღაც ბოროტმოქმედმა რევოლვერის ტყვიით მძიმედ დაჭრა მე-10 სამილიციო უბნის უფროსი მილიციელი ანდრო ივანეძის მორბედაძე.

მორბედაძეს აღმოუჩინეს საჩქარო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

რეციდივისტები

მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: რომა და თამარ გაიკის ასული ბალაიანცები, გიორგი პეტრესძე ინაშვილი (მცხეთის ქ., 24), ნიკოლოზ გრიგოლის ძე კარიოზოვი (უბინაო), ივანე საკუნის ძე ზანაშვილი და არამ ეგორის ძე პოლისიანცი.

ქურდობა

გაქურდეს ელენე ლორთქიფანიძის ბინა (კრილოვის ქ., 1); წაიღეს 180 მანეთის [illegible] ნივთები; 4 დეკემბერს ქალაქში აირიცხულია წვრილი ქურდობის 5 შემთხვევა.

შეპყრობა

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა გოგა ლევანისძე ბრუთიანოვი, რომელსაც ბრალდება თ. მ—ს გაუპატიურების ცდა.

კერძო მასწავლებლობის შესახებ

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სასწავლებლის გარეშე მასწავლებლობა (კერძო) ნებადართულია: იმ პირთა სწავლებისათვის, რომელნიც სასწავლებელში არ სწავლობენ; ამა თუ იმ პირის სასწავლებელში მისაღებ გამოცდისათვის მოსამზადებლად და ამა თუ იმ სასწავლებლის მოწაფეთა მომზადებისათვის.

მასწავლებლობა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც აქვთ განათლების სათანადო ცენზი, რაც დამოწმებულ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტებით:

შრომის სკოლა—შვიდწლედის სასწავლო პროგრამის ფარგალში საგნების სწავლებისათვის—ისეთი სასწავლებლის დამთავრების მოწმობით, რომელიც შრომის სკოლა—შვიდწლედში სწავლების უფლებას იძლევა, უმაღლეს სასწავლებლებში და ტეხნიკუმებში შესასვლელად მომზადებისათვის—უმაღლესი სასწავლებლის სრული კურსის დამთავრების მოწმობით ან ისეთი მოწმობით, რაც შრომის სკოლის მე-8 და მე-9 ჯგუფების სწავლების უფლებას იძლევა; უცხო ენების სწავლებისათვის—ისეთი მოწმობით, რაც სათანადო უცხო ენის სწავლების უფლებას ადასტურებს.

იმ პირს, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს, ხოლო რომელსაც აქვს საკმაო პედაგოგიური გამოცდილება, პედაგოგიური მოღვაწეობა შეუძლია მხოლოდ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების განსაკუთრებული ნებართვით.

სკოლის გარეშე ჯგუფობრივი მეცადინეობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ თვითეულ ჯგუფში ხუთ კაცზე მეტი არ არის.

მასწავლებლის მიერ იმ სასწავლებლის მოწაფის მომზადება, სადაც იგი მასწავლებლობს, აკრძალულია.

ის პირი, რომელიც ამა თუ იმ სასწავლებლის მოწაფეს ამზადებს, მოვალეა აცნობოს ეს სათანადო სასწავლებელს ერთი კვირის განმავლობაში.

განათლების სახალხო კომისარიატს დაევალა ერთი თვის განმავლობაში გამოაქვეყნოს იმ სასწავლებელთა სია, რომელთა დამთავრებაც კერძო მასწავლებლობის უფლებას იძლევა.

სასამართლო

გაფლანგვა იუსტიციის სახალხო კომისარიატში

(პროცესის მეხუთე დღე)

გუშინ დილის სხდომაზე უზენაესი სასამართლო განაგრძობდა ბრალდებულ მიხეილ მაისურაძის დაკითხვას.

ბრალდებულს შეკითხვებს აძლევდნენ პროკურორები: ამხ. ჯანჯღავა და ტატიშვილი. შეკითხვები შეეხებოდა უმთავრესად იმ თანხებს, რომლებიც მაისურაძეს გაფლანგულად ეთვლება საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით.

ბრალდებული მაისურაძე არც ერთ შეკითხვაზე არ იძლევა პირდაპირ პასუხს. იგი მიკიბულ-მოკიბული პასუხით (ცდილობს გამართლება გამონახოს ერთ და იმავე საჭიროებისათვის თანხებს ორჯერ გამოწერას ხაზინიდან და ერთი ანგარიშის ორჯერ გამოყენებას გასამართლებელ საბუთად.

საინტერესო ის არის, რომ მაისურაძეს ყოველივე ეს ნორმალურად მაჩნია.

მაისურაძე გაება მახეში იმ 1600 მანეთის გარშემო მიცემულ შეკითხვების დროს, რომელიც კომისარიატის ძველი მანქანის გაყიდვით მიიღო მან და შემოსავალში კი არ გაატარა.

—რაში დახარჯეთ ეს ფული?—ეკითხება პროკურორი.

მაისურაძე ჩამოთვლის სხვადასხვა ხარჯებს. ამ თანხიდან, ლაპარაკობს ის, 800 მანეთი მოხმარდა მეორე ავტომობილის შეკეთებას, 210 მანეთი—შეშის შეძენას, 590 მანეთი—ყრილობის ხარჯებს, 90 მანეთი საჩუქრების დარიგებას (მაისურაძე საჩუქრებს ურიგებდა იმ თანამშრომლებს, რომლებიც ეხლა მას გვერდს უმშვენებენ საბრალდებულო სკამზე!) და სხვ.

— კარგი! ეს თანხა ხომ თქვენს სალაროში შემოვიდა! ხაზინაში არ შეგიტანიათ, მანქანა შეაკეთეთ და გადაიხადეთ 800 მანეთი. რად დაგჭირდათ ამ მანქანის შეკეთებაზე დახარჯულ ფულის ანგარიშის წარმოდგენა ხაზინიდან გამოტანილი თანხის გასამართლებელ საბუთად?—ეკითხება პროკურორი.

მაისურაძე იბნევა და ბოლოს უპასუხებს, რომ მას არ ახსოვდა (!) რომელი თანხით მოხდა მანქანის შეკეთება.

ასეთივე მდგომარეობაში ვარდება მაისურაძე იმ 800 მანეთის ირგვლივ, რომელიც მან მისცა სარემონტო სამუშაოების შესრულებისათვის (!) ვინმე შატბეროვს.

მაისურაძემ შატბეროვს თვითეულ ცალკე სამუშაოს შესრულებისათვის ცალ-ცალკე ხელწერილი ჩამოართვა, ხოლო ბოლოს ერთი საერთო ხელწერილი მიიღო მისგან 800 მანეთის მიღების შესახებ.

ბუნებრივია, ცალ-ცალკე ხელწერილები მაისურაძეს ან უნდა დაეხია, ან კიდევ უნდა დაებრუნებია შატბეროვისათვის ნაცვლად საერთო ხელწერილის მიღების შემდეგ. მაგრამ მაისურაძე საგულდაგულოდ ინახავს ამ ხელწერილებს, რადგან მას ეს გამოადგება გაფლანგულ თანხების გასამართლებელ საბუთებად.

მაისურაძე ეთანხმება პროკურორს, რომ საჭირო იყო ამ ხელწერილების დახევა. მაგრამ თუ ეს არ მოხდა— მისი სიტყვით ამაში ჩიქოიძე არის დამნაშავე. მას უნდა დაეხია.

ჩიქოიძე კი მაისურაძის აბრალებს. მაისურაძეც, როცა გასაჭირში ვარდება, ჩიქოიძეს ასახელებს და მასზე გადააქვს დანაშაულის სიმძიმე.

დილის სხდომა შეწყდა ნაშუადღევის 2 საათზე

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ისევ ბრალდებულ მაისურაძის დაკითხვა.

—:—

ჯაგარის ქურდები

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით გაარჩია საქმე, რომელიც შეეხებოდა „ზაგკოსტორგის“ ჯაგრის საწყობიდან დიდძალი ჯაგრის ქურდულად გატანას.

საბრალდებულო სკამზე ისხდნენ საწყობის გამგე ტიმოთე გოგიბერიშვილი, საწყობის დარაჯი გრიგოლ ხაჩატუროვი, აბრამ ოგანეზოვი და ეფრემ არზუმანოვი.

როგორც სასამართლო გამოძიებით დადასტურდა, საწყობის გამგე ტიმოთე გოგიბერიშვილი შეთანხმებული ყოფილა თავის დარაჯთან ხაჩატუროვთან, რომლისაც გამგის დავალებით გაჰქონდა საწყობიდან დიდძალი ჯაგარი და კერძო პირების საშუალებით ასაღებდა ბაზარზე.

ჯაგრის გამსაღებლები ეყვნენ კერძო პირები აბრამ ოგანეზოვი და ეფრემ არზუმანოვი, რომლებთანაც მჭიდრო კავშირში იყო ხაჩატუროვი, უფრო მუდმივი მუშტარი-გამსაღებელი იყო ოგანეზოვი.

სასამართლომ ყოფ. გამგე გოგიბერიშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით სასტიკი იზოლაციით, ყოფ. დარაჯ ხაჩატუროვს—2 წლით, ოგანეზოვს—2 წლით და არზუმანოვს 6 თვით.

ზერ.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოთ

თბილისის ქალაქის კომენდანტი აცხადებს თბილისის და მისი მიდამოების მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ 6 და 7 დეკემბერს საბურთალოს რაიონში იწარმოებს საარტილერიო სასწავლო სროლა.

ამერიკის ტურისტულ ბიუროს დირექტორის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ამერიკის ტურისტულ ბიუროს დირექტორი მოქ. **მილტონ გუდმანი.** მისი ჩამოსვლის მიზანია გამორკვევა მთელ რიგ საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკულ ტურისტების ჩამოსვლასთან ამიერ-კავკასიაში 1929 წლის ზაფხულზე.

ადგ. ტრანსპორტის მუშათა მე-7 ყრილობა

4 დეკემბ. შესდგა ყრილობის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც მიღებული იქნა რეზოლიუციები ყველა მოსმენილ მოხსენებების შესახებ.

შემდეგ მოხდა არჩევნები. კავშირის ცენტრ. გამგეობაში არჩეულია 21 კაცი და 13 კანდიდატი. სარევიზიო კომისია აირჩიეს 3 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

ახალი ცენტრალური გამგეობის პირველ პლენუმზე კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. **დ. ორჯონიკიძე,** მოადგილად—ამხ. **ი. სტეფანოვი,** სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების გამგედ—ამხ. **ა. ფრუიძე** და პასუხისმგებელ ხაზინადარად—ამხ. **ხოშოშლოვი.**

ცენტრალურ გლეხკომის პლენუმი

ამ თვის ბოლო რიცხვებში თბილისში შესდგება სრ. საქართველოს ცენტრალურ გლეხკომის პლენუმი. პლენუმზე ცენტრალურ გლეხკომის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. **კ. ხომერიკი.** შემდეგ მოსმენილი იქნება მოხსენებები ადგილებიდან. პლენუმზე მოსმენილი იქნება აგრეთვე მოხსენება გლეხკომების მონაწილეობის შესახებ საბჭოთა არჩევნებში.

ხელოსანთა უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება

საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატსა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს მოაწესრიგონ ხელოსანთა უფლებრივი მდგომარეობა იმგვარად, რომ სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალ საწარმოო არტელების წევრები, რომლებიც საერთო სახელოსნოში მუშაობენ, შრომის ბირჟებში რეგისტრაციის, საბინაო ქირის, კომუნალური სამსახურისა და სხვ. მხრივ გათანასწორებული იქნან დაქირავებულ მუშებთან.

ჯილდო თელავის სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას

დამთავრდა საკავშირო კონკურსი საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაზე (კონკურსი საკავშირო ფინსახკომმა მოაწყო), რომელშიც მონაწილეობას იღებდა 600-დე ამხანაგობა.

საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს მიეცა 33 პრემია 500-დან 2.000 მანეთამდე და 30-ს—საპატიო სიგელი

საქართველოდან მეორე ჯილდო ხვდა თელავის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას.

განთავისუფლება საგერბო გადასახადისაგან

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით განთავისუფლებულია საგერბო გადასახადისაგან მხარის მოწმობები ბავშვის დაბადების, ქორწინების და განქორწინების, სიკვდილისა და შვილად აყვანის შესახებ.

საზამთრო არდადეგები

განათლების სახალხო კომისარიატში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ შრომის სკოლებში საზამთრო არდადეგების დაწყების ვადა ჯერ არ არის გამორკვეული.

მუშფაკებში, ტეხნიკუმებში, საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში და სასოფლო-სამეურნეო სკოლებში კი საზამთრო არდადეგები დაიწყება 1929 წლის 17 იანვრიდან და გასტანს 1 თებერვლამდე.

რემედასის კვირეული

საქართველოს ცაკის დადგენილებით საქართველოს რემედასის კვირეული ჩატარებული იქნება 16 დეკემბრიდან.

სხვადასხვა

◆ **სექციების სხდომა.** 10 დეკემბერს საბჭოების საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით შესდგება თბილისის საბჭოს ყველა სექციების სხდომა.

◆ **უმუშევართა აღრიცხვა.** 6 დეკემბრიდან 10 დეკემბრამდე დღის 1—3 ნახ. საათამდე მეტყევეთა კავშირში იწარმოებს კავშირის უმუშევარ წევრთა აღრიცხვა.

◆ **თბილისის ქართველ ექიმთა და ბუნების** მეტყველთა საზოგადოების სხდომაზე, რომელიც შესდგება დღეს, საღამოს 8 საათზე სოციალურ ჰიგიენის აუდიტორიაში, მოხსენებებს წაიკითხავენ: გრ. დიდებულიძე—„ჯუჯის დაავადების ნიადაგზე წარმოშობილი ტეტანიის საკითხისათვის“, ა. მაღალაშვილი—„ძუძუმწოვარ ბავშვთა ფილტვების ანთება“, გ. ცქიმანაური—„ფიზიოლოგთა საკავშირო მესამე ყრილობა“.

◆ **საქართველოს ისტ. და ეთნოგრაფიის საზოგადოებაში** პარასკევს, 7 დეკ., საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საზოგადოების ჩვეულებრივი კრება.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება შრომის სკოლის გამგეების, მათი მოადგილეების, საზოგადოებათ მეცნიერების მასწავლებლები, კომუნისტ-მასწავლებლების კრება, რომელზედაც ამხ. ქაცარავა წაიკითხავს მოხსენებას: „პირველი საფეხურის შრომის სკოლების საპროგრამო-იდეოლოგიური მიზნები“.

◆ **სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე** სახელმწიფო გამოცდების სესია (ქართული სექტორი) და სადიპლომო შრომების წარმოდგენა (რუსული სექტორი) დაიწყება 1929 წლის 15 იანვრიდან.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ჩერნიშევსკის ხსოვნის საღამო.** დღეს, 6 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში ჩერნიშევსკის ხსოვნის აღსანიშნავად შესდგება სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საჯარო სხდომა. ჩერნიშევსკის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებებს წაიკითხავენ: ამხ. ს. ხუნდაძე (ქართულ ენაზე) და ამხ. გ. ტატულოვი (რუსულ ენაზე).

◆ **თეატრალური სექცია პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან.** საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან ჩამოყალიბდა თეატრალური სექცია. კვირას, 2 დეკემბერს, შესდგა თეატრალური სექციის პირველი სხდომა. სხდომაზე გაირჩა მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხები და მიღებულ იქნა ვ. ბუხნიკაშვილის მიერ წარმოდგენილი გეგმა სექციის მუშაობისა.

◆ **„რღვევა“.** დღეს, რუსთაველის თეატრში პირველი აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

◆ **„ლაკმე“**, დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლაკმე“.

ავტომობილის კატასტროფა ბორჯომთან

(დაწვრილებითი ცნობები კატასტროფის შესახებ)

კატასტროფა გამოიწვია ავტომობილის ძარას დაზიანებამ.—კატასტროფის დროს დაიღუპა ორი კაცი, რამდენიმე მსუბუქად დაშავდა.—შოფერი მოხსნილია სამსახურიდან და პასუხისგებაშია მიცემული.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული 2 დეკემბერს დილის ათ საათზე „ზაკავტოპრომტორგი“-ს ნახევრად საბარგო ავტომობილს ბორჯომიდან 10 კილომეტრის მანძილზე მარცხი შეემთხვა.

ავტომობილს ბორჯომიდან აბასთუმანში მიჰქონდა საფოსტო ამანათები და მიჰყავდა მგზავრები.

კატასტროფის შესახებ ცნობის მიღებისთანავე თბილისიდან კატასტროფის ადგილზე დაუყოვნებლივ გაემგზავრა სპეციალისტთა კომისია, რომელიც გუშინწინ დაბრუნდა თბილისში.

კომისიის წევრების გადმოცემით, კატასტროფა, შემდეგ პირობებში მოხდა:

ბორჯომიდან ათი კილომეტრის მანძილზე ავტომობილს მოძრაობის დროს მოულოდნელად გაუტყდა ძარა (кузов), მანქანამ ინერციით განაგრძო გზა, შემდეგ გზიდან გადაუხვია და გადაბრუნდა მდ. მტკვრის მახლობლად.

კატასტროფის დროს რამოდენიმე მგზავრი გადავარდა გზაზე, ხოლო ორი მოჰყვა მანქანის ქვეშ და მოკვდა. ორთავეს თავი ჰქონდა გაჭეჭყილი და გულმკერდი ჩამტვრეული. მოკლულები აღმოჩნდნენ: **ვიქტორ კატლიარცევი** (12 წლისა) და **ხამბალი რეჟიდოღლი** (37 წლისა).

მსუბუქად დაშავდა რამოდენიმე მგზავრი. დაშავებულებს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება და იმავე დღეს გადაგზავნეს ბორჯომში. მანქანა უმნიშვნელოდ დაზიანდა.

სპეციალისტთა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ავტომობილის კატასტროფის მიზეზების გამორკვევა (კომისიაში შედიოდნენ: ამიერ-კავკასიის ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს წარმომადგენელი ბ. მამულია, „ზაკავტოპრომტორგის“-ის წარმომადგენელი ი. სტომატოვი, ბორჯომის მილიციის უფროსის მოადგილე—ბ. **თუხარელი** და ამხ. **ნ. ნეკრასოვი**), გუშინ დაასრულა მუშაობა.

კომისიამ დაწვრილებით დაათვალიერა კატასტროფის ადგილი და შეამოწმა დაზიანებული ავტომობილი.

ავტომობილის ტეხნიკური შემოწმების თანახმად, ხვეი და მუხრუჭი დაზიანებული არ ყოფილა.

სპეციალური კომისიის დასკვნით, კატასტროფა გამოიწვია ავტომობილის ძარას დაზიანებამ. კატასტროფას ნაწილობრივ ხელი შეუწყო აგრეთვე ტალახიანმა გზამ.

როგორც გამოირკვა, შოფერ **ვერლანგს** [illegible] ავტომობილით მიჰყავდა კერძო მგზავრები, რისი უფლება მას არ ჰქონდა, ამის გამო მოქ. ვერლანგი მოხსნილია სამსახურიდან და პასუხისგებაშია მიცემული.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის „26 კომუნარის“ სახელობის რაიონული კომიტეტი აცხადებს, რომ ხუთშაბათს 6 დეკემბერს საღამოს 6 საათზე რაიონული კომიტეტის ბინაზე შესდგება რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: არუთინოვი ოგანეს, ფხაკაძე ვლადიმერ, შერმაზანოვი გრიგოლ, ჯალალოვა ლუსია, სულთანიანი გრიგოლ, საპიანი ხაჩიკ, ასატურიანი მორონ, იროელიანი მამიკო, ტატეზოვი ლეონ, მურადოვი გაიკ, მიხაილოვს კატე თამარ, მარკოზაშვილი ეკატერინე, იოვანოვა ელენე, რეიბელსი რახილ, დოუგლაშვილი ანტონ, ბეგიაშვილი ქ.; ფურცელაძე შალვა, მურადოვი სერგო ნიკოლოზის ძე, დარახველი ანტონ, ნატროშვილი ივანე, კორშინაძე გერმანე, ბერიაშვილი იოსებ, მჭედლიშვილი დავით, ეკიმორიდიანი გიორგი, შანდია შალვა, ნიკოლაიძე, მელიქსეტოვა ოლღა, მარკელიძე მიხეილ, მარზოიანი ხორენ, ელიზბარი ოვანეს, საპიანი გარეგინ, ერისთავი ვასილ, მურადოვი ხაჩატურ, ბასპარიან არმენაკ, სარაიროვი ანდრია, სიმონიანი ეგიაზარ, ვულეგრიდაშვილი, ბოიაჯიანი, ერონიკი, მეუნარგია, არუთინოვი სერგო, ცუცკაძე ლიდია და გრონკინა ანა.

—:—

ქალაქის რაიონული კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება აცხადებს, რომ დელეგატების კრება კოოპერატიული, იურიდიულ და პროფესიონალური სექციების მეცადინეობა შესდგება ხუთშაბათს, 6 დეკემბერს საღამოს 6 საათისათვის. კოოპერატიული სექციის მეცადინეობა ქართულ ენაზე შესდგება ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს შენობაში, რუსულ ენაზე—ფოსტის მთავარი კანტორის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი), პროფესიონალური სექციის მეცადინეობა რუსულ ენაზე შესდგება ქალაქის რაიონული კომიტეტის შენობაში (სოლოლაკის ქ. № 7). იურიდიული სექციის მეცადინეობა შესდგება იუსტიციის სახ. კომისარიატის შენობაში (ტრიბუნალის ქ. № 32).

—:—

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილების ბინაზე (ოთახი № 66) შესდგება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა. მიმღები კომისიის წევრების დასწრება სავალდებულოა. სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ აგრეთვე ამხ. მურღულია (თბილისის აღმასკომის კოლექტივის ბიურო) და ამხ. ჯუმუხაძე.

—:—

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილების ბინაზე (ოთახი № 66) შესდგება საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის მორიგი სხდომა. სხდომას უნდა დაესწრონ ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ: ესეპოვ შალვა ანტონის ძე, ფხალაძე სპირიდონ სიმონის ძე, ჯამალიანი მელიტონ იესეს ძე, აბაშიძე თეოფანე რაჟდენის ასული, ხოჯაიანი ამზენ ამაზასპის ძე, მამაკონიანი ვაგეცია ბარისის ასული, მეგრელიშვილი სონია გიორგის ასული, პოპოვი მიხეილ სიმონის ძე, კლიკშინსკი ლევან ზენონის ძე, პრიგუტი ნაუმ გრიგოლის ძე, შუბაშვილი ივანე სიმონის ძე, რეინგოლდ ალექსანდრე ლეიბის ძე.

გარდა ამისა სხდომას უნდა დაესწრონ ამხ. ვოლუმიანი ლიპარიტ მესროპის ძე და ჭიჭინაძე ალექსანდრე ვარლამის ძე.

—:—

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ამხ. ბიბერს, ნინო მახარაძეს (განათლების სახ. კომისარიატი), ჯალაღანიას (განათლების სახ. კომისარიატი), აბრამოვს (ლენ-რაიონი) და ოინკო ტროპინოვას (სკოლა) გამოცხადდნენ საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში 6 და 7 დეკემბერს.

ლენრაიონის მ.-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება დელეგატურ კრების ჯგუფების მეცადინეობა. 1-ლი და მე-2-ე ქართული ჯგუფები—პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებულ კლუბთან, მე-3 და მე-4-ე რუსული ჯგუფები—ძერჟინსკის სახ. კლუბში (დტოოფგუ), საღამოს 5 საათ.

პარასკევს, 7 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რკ. გზ. მე-8 შრ. სკოლაში (პლეხანოვის პრ. № 138) შესდგება ლენრაიონის განათლების მუშაკთა კომუჯრედის კრება კომკავშირის მოწაფეთა უჯრედების აქტივთან ერთად. დასწრება აუცილებელია.

კვირას, 9 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოთ დაკარგულის, ძვირფას და ჩვენთვის მუდამ დაუვიწყარის

ილარიონ ანტონის ძე ზაზარაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს მწუხარებაში მყოფი მეუღლე ჯულიეტა [illegible] ასული ზაზარაძისა შვილებით. 2—1 ბ 1940

თბილისის აღმასკომის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების ადგილკომი, აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პატიოსანი თანამშრომელი

იოსებ ლუარსაბის ძე მღვდლაძე

რომლის გამოსვენება მოხდება ქალ. პირველ საავადმყოფოდან დღეს, 6 დეკემბერს, დღის ორ ნახევარ საათზე, დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე. 5144

„კომუნისტი“

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

ჟურნალი „დროშა“

„კომუნისტი“-ს გამომცემლობა იწყებს 1929 წლიდან დასურათებული ორკვირეული ჟურნალის გამოცემას. 1-ლი № გამოვა იანვრის შუა რიცხვებში

მიიღება ხელისმოწერა სამი თვით და ნახევარი წლით. სამი თვით ჟურნალი ეღირება 85 კ., ნახევარი წლით 1 მ. 70 კ., ცალკე №-ი 15 კაპიკი

გამომცემლობა იტოვებს უფლებას შესცვალოს „დროშა“-ზე ხელისმოწერის პირობები, როდესაც ჟურნალი ყოველ კვირეულად გამოვა

„კომუნისტზე“ ხელის მოწერის პირობები

დამატების გარეშე გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მ. — კ.	7 თვით	6 მ. 70 კ.
2 „	2 მ. — „	8 „	7 „ 65 „
3 „	2 „ 90 „	9 „	8 „ 60 „
4 „	3 „ 85 „	10 „	9 „ 55 „
5 „	4 „ 80 „	11 „	10 „ 50 „
6 „	5 „ 75 „	ერთი წლით	11 „ 50 „

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1 მ. 30 კ.	7 თვით	8 მ. 80 კ.
2 „	2 „ 60 „	8 „	10 „ „
3 „	3 „ 80 „	9 „	11 „ 30 „
4 „	5 „ „	10 „	12 „ 60 „
5 „	6 „ 25 „	11 „	13 „ 80 „
6 „	7 „ 55 „	ერთი წლით	15 „ „

ხელისმოწერა მიიღება:

ქუთაისში — „კომუნისტი“-ს განყოფილება.
ოზურგეთში — კონტრაგენტ ინწკირველთან
ახალსენაკში — კონტრაგენტ ესებუასთან
სამტრედიაში — კონტრაგენტ გოგელიასთან
ჭიათურაში — კონტრაგენტ ჯალაღანიასთან
ყვირილაში — კონტრაგენტ ცხომელიძესთან
შორაპანში — კონტრაგენტ ცხომელიძესთან
ბორჯომ-ბალში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ბორჯომში — კონტრაგენტ კობახიძესთან
ფოთში — კონტრაგენტ ლორიასთან
ხონში — კონტრაგენტ გენძეხაძესთან
თელავში — კონტრაგენტ რევაზოვთან
ცხინვალში — კონტრაგენტ იარალოვთან
გორში — კონტრაგენტ მაისურაძესთან
გურჯაანში — წიგნის მაღაზიაში.
სიღნაღში — კონტრაგენტ მდივანოვთან
აბაშაში — კონტრაგენტ მიქაძესთან
ლანჩხუთში — კონტრაგენტ ღლონტთან
ბათომში — ფ/ტ. კანტორაში.
ხაშურში — კონტრაგენტ ლორთქიფანიძესთან
ბაღდადში — კონტრაგენტ აბულაძესთან
ონში — კონტრაგენტ ბერიშვილთან
ჭრებალოში — კონტრაგენტ ცხვედიანთან

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარი კანტორა—თბილისი, რუსთაველის პრ. № 34,

---

ს. ს. ს. რ.

გადმოთარგმნილია და სისტემატიურად გამოიცემა

1928/33, წლის განმავლობაში

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული

ქართულ ენაზე მამია ორახელაშვილის რედაქციით.

გამოვა სულ 25 ტომი. თვითეული ტომი დაბეჭდილი იქნება საუკეთესო ქაღალდზე, ექნება კალენკორის ყდა, შეიცავს 500—600 გვერდს.

თარგმანი შესრულებულია ლენინის ინსტიტუტის უკანასკნელი გამოცემიდან საუკეთესო ლიტერატორ-მთარგმნელების მიერ.

საერთო ტეხნიკური რედაქცია მინდობილი აქვს ცალკე პასუხისმგებელ პირებს.

ტომები გამოვა შემდეგი თანრიგით:

1928 წლის დეკემბერში 1 ტ., იანვარში მე-20 ტ. 1-ლ სექტემბრამდე 1929 წ. მე-2 და მე-3 ტ. დანარჩენ ტომებზე ხელისმოწერა გამოცხადდება დამატებით.

ამჟამად მიიღება ხელისმოწერა ოთხ ტომზე

(1, 2, 3, მე-20)

სახელგამის ყველა მაღაზიებში:

თბილისში, გორში, თელავში, ქუთაისში, ფოთში, ბათომში, ახალსენაკში, ზესტაფონში, მათხოჯში, ონში, ჭრებალოში, ლანჩხუთში, სამტრედიაში, ხაშურში, ხონში, დუშეთში.

ხელის მოწერის პირობები:

თითო ტომი ხელისმომწერთათვის ორ მანეთ ნახევარი (2—50) ცალკე გასაყიდად 4 მანეთი.

ხელის მოწერის დროს ზედ შემოტანილ უნდა იქნეს ორი მანეთი. შემდეგ თვითეული ტომის მიღების დროს გადახდილ იქნება ორ-ორი მანეთი

მისამართი შეკვეთებისათვის: თბილისი, რუსთაველის პრ. № 22, ცენტრალური მმართველობა, პერიოდ-სექტორი (ოთახი № 11).

ნ. 1927 6—2

რუსთაველის თეატრი

3—3 ნ. 1930

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს 1 აბონემენტის მე-3 წარმოდგენა

რღვევა დრამა 4 მოქმ. ბ. ლავრენიოვის

დადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი ირ. გამრეკელი

ბილეთები იყიდება დასაწყისი სრულ 8 საათზე

ანონსი შაბათს 8 დეკემბერს მე-2 აბონ. 3 წარმოდგენა „რღვევა“

სახკინმრეწვის კინოთეატრები

ანთიადი	გრანდიოზულად დადგმული ფილმი	ბულატ ბატირ	
არფასტო	მსოფლიო ფილმი	პარიზელი მეჩექმე	რეჟისორი ერმლერი
სოლეი	სეზონის საუკეთესო სურათი	სიცოცხლის უფლება	
მინიონი	უკანასკნელად თბილისში	ვარიეტე	ლია დე პუტის მონაწილეობით
აპოლო	ბარბარა ლა-მარ მხატვრულ სურათში	გ-ნი მაკ-გრიუ	
პალასი	მონტი ბენქსი უცხოეთის საუკეთესო კომედიაში	ბედნიერების ნალი	
დარბაზი		თავზე ხელაღებული	3 და 4 სერია ერთად
პროლეტარი ავლაბარი		მოწოდების საყვირი	ვილიამ ხარტის მონაწილეობით.

მალე: „კაპიტანსკაია დოჩკა“

0—5

სახელმწ. აკადემიური ოპერა

2—2 ნ. 1942

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 6 დეკემბ. მეხუთე აბონემენტის მესამე წარმოდგენა **გედების ტბა** ბალეტი

7 ნოემბრს 4-ე აბონემენტის მესამე წარმოდგენა **ლაკმე** ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ახალი დადგმა

დაწვრილებით აფიშებში. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე

დღეს

კინო-თეატრ არფასტოში
მსოფლიო ფილმი
პარიზელი მეჩექმე
რეჟისორი ერმლერი

კინო-თეატრ მინიონში
უკანასკნელად თბილისში
ვარიეტე
ლია დე პუტის და ემილ იანინგსის მონაწილეობით

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

3—3 ნ. 1935

დღეს,

ახალი გასტროლიორების სანახაობა

4 ეშაპი 4

ლეონარდო, კონვალდი, მარგულიო და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

წაიკითხეთ აფიშები!

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) აცხადებს, რომ კვირას, 9 დეკემბერს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1943

თბილისის მე-5 რაიონ. სასამა თ. აღმასრულებელი

ბ. გამაზოვი

აცხადებს, რომ ის 14 დეკემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 25-ში, პროლეტარის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სერგო ტერენტიევის მოძრავ ქონებას: მაგნოლიკას, კამოდს და გიტარას, შეფასებულს 170 მანეთად, კლავდია ბირიუკოვას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აძავე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 8 ოქტომბრის 1928 წ. თარიღით № 2551 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 5139

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფ. დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ.
საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 25—1

დღეს

კინო-სოლეიში

დადგმითა და სიუჟეტით არაჩვეულებრივი ფილმი

სიცოცხლის უფლება

დადგმა რეჟისორ პეტროვ-ბიტოვის

პირველი სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათსა და 30 წუთზე. გაძლიერებული სიმფონიანი ორკესტრი. ნ. 1945

ამიერ-კავკასიის რკინისგზელებისათვის

ცემში დასასვენებელი სახლის

ამშენებელი კომიტეტი აცხადებს

კონკურსს

დასასვენებელი სახლის საესკიზო პროექტის შედგენაზე

დასასვენებელ სახლს უნდა ექნეს შემდეგი ნაწილები: შენობები 300 საწოლის მოსათავსებლად და სათანადო ამბულატორიებისათვის, სასადილო-კლუბი, მოსამსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლები და ბინები სამსახურის განყოფილებებისათვის.

შედარებით უკეთესი პროექტებისათვის, რომლებიც დააკმაყოფილებენ პროგრამის ძირითად მოთხოვნებს, გაცემული იქნება შემდეგი ჯილდოები: 1-ლი ჯილდო—1000 მანეთი, მე-2—750 მანეთი, მე-3—500 მანეთი. კომიტეტს შეუძლია დაუჯილდოებელი პროექტები შეიძინოს მესამე ჯილდოს ფასში.

პროგრამისა და დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართოთ: თბილისში—ამიერ-კავკასიის რკინის გზების სოცდაზღვევის სალაროს, პლეხანოვის პრ., № 142, ლენინაკანში, ბაქოში, განჯაში, ხაშურში, სამტრედიაში, ბათომში—რკინის გზის სოცდაზღვევის სალაროებს; ერევანში—სომხეთის სოცდაზღვევის სამმართველოს.

2—1 5129 სააღმშენებლო კომიტეტი.

გორის უბნის სახალხო სასამართლ. აღმასრულებელი

გ. ტლაშაძე

აცხადებს, რომ ის 1928 წ. 8 დეკემბერს დილის 1 საათზე, ადგილობრივ ქ. გორში, აკაკი წერეთლის ქ. პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ვასილი გიორგის-ძე ჩარკვიანის ერთ სართულიან ქვიტკირის შენობას ერთი ოთახით და ერთი სარდაფით, დახურულს კრამიტით, შეფასებულს 400 მან., რა ფასიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა, მიხეილ მიქაძის ვალის დასაკმაყოფილებლად ამავე რიცხვში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ადგილობრივ ქ. გორში სადგურის ნაწილში, ორჯონიკიძის ქ., მოქ. დავით კეჩხუაშვილის სხვადასხვა ავეჯეულობა: კედლის ხალიჩები, სარკე, მაგიდები, პურჭლის კარადა, სპილენძის ქვაბი და სხვ., შეფასებული 78 მან. შაქრო კირესელიძის ვალის დასაკმაყოფილებლად. ხსენობის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის დროს მყიდველებმა უნდა დაიცვან. სამ. სამ. საპ. კოდექსის 311 და 312 მუხ. უკეთუ ამ დღის საჯარო ვაჭრობა არ შესდგა გადადებულ იქნება 16 დეკემბრისთვის 1928 წ. 5142

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-კურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების **უმტკივნელოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: კრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და, ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 4821 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, ძესამე სართული.

4903 25—

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90.

25—12

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—

ექიმი

ი. ვ. ხანდამოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა, ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესამე გრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად

---

1 დეკემბერს ღამით

რიონის სადგურზე ილარიონ ბაქრაძეს ჯიბიდან ამოართვეს ქისა 420 მანეთი ფულით, ი. ს. ბაქრაძის პარტ. ბილეთი № 0852797, საურთიერთო დამხმარე სალაროს წიგნაკი, „ზაკომესის“ წიგნაკი, რომლითაც შოფერს ნება ეძლევა მართოს ავტომობილი პირადობის მოწმობა, გაცემული რიონჰესის სამმართველოს მიერ გარაჟის გამგის ილია სპირიდონის-ძე ბაქრაძის სახელზე.

დოკუმენტები ჩაითვალოს გაუქმებულად. 5126

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 2868 ნოე დუნდუას სახელზე, ჩ. გ. (უ)

დაიკარგა: კავშირის საწევრო წიგნაკი № 13573 აფთონ ქირაქაძის სახელზე, ჩ. გ. 5138

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 96282, ჩ. გ. 5137

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 37591 გიორგი ტრიფონის-ძე ნიორაძის სახელზე, ჩ. გ. 5143

ვიპოვნე

ძაღლი, წითელი ფერის, სეტერი, უნომროთ 3 თვეა. პატრონმა მიმართოს: არსენალის გზატკეცილი, № 27. ტ. აბაშიძე. 5145

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.